სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 7 თებერვალი 2008 №026 (3250) ფასი 50 თეთრი

დიდი შავი ლაქა

ეროვნულმა გუნდმა ახალი ფორმა პირველივე ჩაცმაზე დასვარა



მეორე ტაიმში უკვე გვითამაშია

ამხანაგური მატჩი

საქართველოს ბალტიური ბელტი მოხვდა

ზედიზედ მეორე სირცხვილი ეროვნულზე

ბადრი ჯღუბლიანის ფოტო

** თბილისი. 6 თებერვალი. 18 საათი. ეროვნული. 10 000 მაყურებელი**

საქართველო 1:3 ლატვია

0:1 კარლსონსი (7), 0:2 სტეპანოვსი (16), 0:3 ასტაფიევსი (34), 1:3 კალაძე (46)

სირაძემ ვერ გაიტანა პენალტი (87, ხარიხა)

საქართველო: რევიშვილი, სალუქვაძე, ასათიანი, კალაძე, ელიავა, კანკავა, ხიდეშელი (ბ. გოცირიძე 83), გოგუა (გრიგალაშვილი 74), ყენია, მჭედლიძე (ს. კობახიძე 41), სირაძე	**ლატვია:** ვანინსი (კოლინკო 46), სტეპანოვსი, ასტაფიევსი, გორკშსი, კლავა (ზირნისი 90), ივანოვსი, ვიშნიაკოვსი (ფიგაევსი 46), სოლონიცინსი (კაჩანოვსი 90), ცაუნია (რუბინსი 46), ვერპაკოვსკისი (პერეპლოტკინსი 83), კარლსონსი (რიმკუსი 77)
სათადარიგო: რ. კვასხვაძე, შაშიაშვილი, ა. კვახაძე	
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი	**მწვრთნელი:** ალექსანდრ სტარკოვსი

გაფრთხილება: ყენია (20), ვიშნიაკოვსი (21), გორკშსი (73), სალუქვაძე (76)

მსაჯები: ს. შმოლიკი; დ. სემიონოვი, ო. კოლბი (სამივე ბელარუსი); მ. ურუშაძე (საქართველო)

კოგა ინასარიძე

სეზონის პირველ მატჩში დატრიალებულ ასეთ ცუდ ამბავს ბევრი ალბათ ვერც წარმოიდგენდა. სამწუხაროდ და სამარცხვინოდ, საქართველოს ნაკრებმა ზედიზედ მეორედ, მეორე ბალტიისპირულ გუნდთან წააგო და კიდევ ერთი მოზრდილი ლაქა დაიმჩნია.

გასაგებია, რომ გუშინ ერთი ჩვეულებრივი ამხანაგური მატჩი იყო, ისეთი, როგორიც ჩვენებს ბევრი უთამაშიათ. იყო ყინვა, იყო შეცვლილი შემადგენლობა, კახა კალაძის გარდა სათამაშო პრაქტიკა არც ერთ ფეხბურთელს არ ჰქონდა, მაგრამ არანაირი გამართლება არ აქვს იმას, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის მეოცნებე გუნდი შინ 1:3 აგებს გუნდთან, რომელსაც დიდ ფეხბურთამდე საკმაოზე მეტი უკლია. აგებს უსიტყვოდ და აგებს უიმედოდ.

პირველი, რაც თვალში უცნაურად მოგვხვდა, საქართველოს ნაკრების ფორმა იყო. რატომ, ვერ გეტყვით — მასპინძლებმა ცისფერი მაისურებით ითამაშეს. ეს ჩვენების კიდევ ერთი სარეზერვო ფერია, მაგრამ სულ არ იყო იმის აუცილებლობა, ტრადიციული საშინაო თეთრი არ ჩაეცვათ. ეს ფერი კი საქართველოს ნაკრებმა ისევე ცუდად დასცადა, როგორც თავს დროზე თბილისის „დინამომ“ ტირანაში საერთაშორისო მატჩისას უჩვეულო ნარინჯისფერი. მაშინ კლუბმა 0:3 წააგო და ახლა ნაკრებიც ახლოს იყო ასეთივე ანგარიშთან. თუმც ფორმა არაფერი, ეგ რომ საქმეს შველოდეს, ნაკრები თეთრ მაისურას ალბათ არც გაიხდიდა...

ჩვენები რატომღაც თავიდანვე დაბნეულად გამოიყურებოდნენ, ორ-სამ მეტრში ზუსტ პასს ვერ აკეთებდნენ, თითქოს შებოჭილები იყვნენო და არ იცოდნენ, როდის რა ეკეთებინათ. ლატვიამ კი დასაწყისშივე გამოაჩინა ბასრი კლანჭები და მეტოქეს აგრძნობინა, იოლი გასეირნების და ბურთის თავისუფლად გაკონტროლების იმედი არ გქონდეთო. საქართველომ კი ზედიზედ რამდენჯერმე ელემენტალურ სიტუაციაში ვერ გაერკვა, სტუმრებმაც ჯერ ერთი სახიფათო შეტევა წამოიწყეს, ხოლო მეორე სულაც გოლით დაასრულეს. ესეც ქართველების ელემენტარულ შეცდომას მოჰყვა. ჯარიმიდან კარის სიახლოვეს ჩაწოდებული ბურთისთვის შორეულ ძელთან კარლსონს არავინ შეებრძოლა, მცველებმა ის სრულიად უმეთვალყურეოდ დატოვეს და მანაც თავით ზუსტად დაარტყა.

თამაში ცენტრიდან განახლდა და, რომ გვეგონა, მასპინძლები ახლა მაინც გამოაკეთებენ საქმესო, საპირისპირო მივიღეთ. ჩვენები კიდევ უფრო აიჭრნენ და რამდენიმე წუთი ხეირიანი ვერაფერი გააკეთეს. ბიჭები კი იბრძოდნენ, მაგრამ ახმახ, ჯანმაგარ ლატვიელებს ფიზიკურად აშკარად ეჩაგვრინებოდნენ. საჭირო იყო სწრაფი და კომბინაციური ფეხბურთი, მაგრამ არაფერი გამოდიოდა, უხარისხო მოედანზე კი ჩვენები ვერც ინდივიდუალიზმით გავიდნენ ფონს და შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ შემთხვევითობის იმედად უნდა ყოფილიყვნენ. თანაც ლატვიელები დაცვაში საკმაოდ მწყობრად და მჭიდროდ იდგნენ, ორმაგი კედელი აღმართეს და ბურთიან მეტოქეს კარის სიახლოვეს არ აჭაჭანებდნენ. ერთხელ ლევან ყენიამ კი გაჭრა ეს ხაზი და გონივრული და მწვავე პასით დავით სირაძე ვანინსს შეატოვა, მაგრამ ფორვარდს არაფერი გამოუვიდა. სამაგიეროდ, გამოუვიდა სტეპანოვსს: ჩვენმა მცველებმა საკუთარი საჯარიმოდან ბურთი ვერა და ვერ აიტანეს, შემტევს ვერც იქვე მყოფმა გიორგი ხიდეშელმა შეუშალა ხელი და ლატვიელმაც ახლოდან გაიტანა. 16 წუთში საქართველო უკვე 0:2-ს აგებდა და ასეთმა დასაწყისმა საფრანგეთთან მატჩი მოგვაგონა. თუმცა მაშინ მეტოქე მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი იყო, ახლა კი ლატვია და ასეთი ანგარიშის მიუხედავად, თამაშის გადარჩენის იმედი კიდევ რჩებოდა.

მე-20 წუთისთვის ჩვენები თითქოს მოფერიანდნენო, ფლანგებიდან ერთი-ორჯერ მწვავედ შეუტიეს, ხიდეშელმა ვანინსს ძალიან სახიფათოდ დაურტყა. მოკლედ, საქართველოს ნაკრებს გამოცოცხლება დაეტყო, მაგრამ ასე მხოლოდ რამდენიმე წუთს გაგრძელდა, მერე კი ისევ ელემენტალური შეცდომები, უაზრო პასები წავიდა. ლატვიელებმაც აღარ დააყოვნეს და საქმე პირველსავე ტაიმში მოამთავრეს. სტუმართა კაპიტანმა ასტაფიევსმა ულამაზესი გოლი გაიტანა — დაახლოებით 30 მეტრიდან დაარტყა კარში, ნუკრი რევიშვილი წინ იყო გამოსული და ბურთს ველარ შესწვდა — 0:3.

რაღა უნდა მომხდარიყო, საქმე საჩვენოდ რომ შეტრიალებულიყო?! ნაკრები გონზე აღარ იყო, კარგა ხნის უთამაშებელ ფეხბურთელებს კიდევ უფრო დაეტყოთ, რომ სასურველ ფორმამდე ჯერ კიდევ ბევრი უკლიათ. მხოლოდ მონდომების ხარჯზე კი მეტოქეს ვერაფერს აკლებდნენ.

პირველი ტაიმის ბოლოს დაშავდა წინწაწეულ მარცხენა ნახევარმცველად გამწესებული ლევან მჭედლიძეც და მის ნაცვლად სანდრო კობახიძე გამოჩნდა. ტაიმის დამთავრებამდე დარჩენილი დრო კობახიძეს გასახურებლად დასჭირდა და თავის პოზიციაზე ბევრი არაფერი გაუკეთებია.

ლევან ყენიას კოჭებში ბევრი მოხვდა

ბადრი ჯღუბლიანის ფოტო

თამაში კი ისე განახლდა, უკეთეს ვერც წარმოიდგენდით. ცენტრში გათამაშებული ბურთი მასპინძლებმა მეტოქის კარისკენ წაიღეს, ჯარიმის უფლება მოიპოვეს და გოლიც გაიტანეს. ზაალ ელიავამ მარჯვნიდან ჩააწოდა, საჯარიმოში კი კახა კალაძემ ყველას აჯობა და თავისი პირველი ჩანაკრებო გოლი გაიტანა.

იმედი გაცოცხლდა, მაგრამ ისევ ცოტა ხნით. ჩვენებმა გოლს ორი-სამი ემოციური შეტევა მიაყოლეს და მორჩა. მარცხნივ ძალიან აქტიურობდა კობახიძე და მასპინძლებიც მეტწილად იქიდან უტევდნენ. საქართველოს ნაკრებს შუა ხაზი დაკარგული ჰქონდა, მეტოქისთვის ბურთის ჩაბარების გარდა იქ არაფერი გამოდიოდა.

ლატვიას კი წინ უსწრაფესი მარის ვერპაკოვსკისი ჰყავდა და პირველივე შანსიდან კონტრშეტევაზე მიდიოდა. ასეთი იერიშებისას ჩვენები რამდენჯერმე გადარჩნენ — მალხაზ ასათიანმა, ლაშა სალუქვაძემ და კახა კალაძემ შეტევები ხელ საჯარიმოს წინა ხაზთან ჩაშალეს.

ბოლოს კი ბელარუსმა მსაჯმა საქართველოს სასარგებლოდ პენალტი დანიშნა. საჯარიმოში დავით სირაძე წაიქცა და პენალტის დარტყმაც მან ითავა — ბურთი ხარიხას მოხვდა და უკან გაფრინდა.

ასე დამთავრდა ჩვენებისთვის ეს კიდევ ერთი სამარცხვინო მატჩი. საინტერესო კი ისაა, კლაუს ტოპმიოლერს ახალგაზრდა ფეხბურთელთა შესაძლებლობები რომ აინტერესებს, მათ რატომ არ ათამაშებს. მისმა კოლეგა ალექსანდრ სტარკოვსმა სათავისო ანგარიშისა და დაწყობილ-დალაგებული თამაშის მიუხედავად, ყველა შეცვლა გამოიყენა, რატომ არ გააკეთა ეს უვარგისად მოთამაშე ჩვენი გუნდის მწვრთნელმა? მჭედლიძე იძულებული გახდა, მოედანი დაეტოვებინა, ბექა გოცირიძემ სულ შვიდი წუთი ითამაშა... რაში სჭირდებოდა ტოპმიოლერს შოთა გრიგალაშვილის გარდა სხვა სათადარიგოები? ეთამაშებინა ისინიც, თუ საქმეს უკეთ ვერ გააკეთებდნენ, მეტსაც რაღას დააშავებდნენ...

და რა არის საშველი?

რა გითხრათ, რა გითხრათ...

პრესკონფერენცია



ბადრი ჯბილაძის ფოტოები

სტარკოვსის მადლობა და ტოპმიოლერის ბოდიში

ალექსანდრ სტარკოვსი: პირველ რიგში, ქართულ მხარეს მადლობას ვუხდი მოწვევისთვის და მასპინძლობისთვის. მიხარია, რომ მოვიგეთ. თამაშიც კარგი იყო და საერთოდაც, თბილისში ჩამოსვლა ჩვენთვის ყოველთვის სასიამოვნოა.

— საქართველოს ნაკრებისგან ასეთ ცუდ თამაშს ელოდით?

— ვერ ვიტყვი, რომ საქართველომ სუსტად ითამაშა. ჩვენ ჩვენი პლუსები გამოვიყენეთ, სტანდარტული მდგომარეობებიდან ორჯერ ვიხეირეთ და ქართველებსაც ამის შემდეგ თამაშის შემობრუნება გაუჭირდათ. იმას კი ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ჩვენმა დღევანდელმა მეტოქემ სუსტად ითამაშა.

— მსაჯობაზე რას იტყვით?

— ვფიქრობ, კარგი მსაჯობა იყო. ერთადერთი, პენალტი დაინიშნა ქომაგების „საპატივცემულოდ", თორემ სხვა მხრივ, საპრეტენზიო არაფერი მაქვს. თამაშზე ფიფას მსაჯები იყვნენ და შეიძლება ითქვას, მათ თავი კარგად გაართვეს დავალებას.

კლაუს ტოპმიოლერი: დღეს კარგად თამაში და მოგება გვინდოდა, მაგრამ სამწუხაროდ, პირიქით გამოვიდა და ამის გამო გულშემატკივრებს ბოდიშს ვუხდი. პირველი ტაიმი კატასტროფა იყო. მეტოქის სტანდარტული მდგომარეობები კი გვქონდა შესწავლილი და განაწილებულიც გვყავდა, ვის ვინ უნდა ამოეკეტა, თუმცა, სამწუხაროდ, ორი გოლი სწორედ სტანდარტულიდან გავუშვით. ამით ლატვიას დიდი ფორა მივეცით და მერე თამაშის შემოტრიალება გაგვიჭირდა. ვიცოდით, რომ მეტოქე დაცვაში კომპაქტურად თამაშობდა და აქცენტს კონტრშეტევაზე აკეთებდა. ასეთ დროს კი ორბურთიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა ძნელია და ასეც გამოვიდა... მეორე ტაიმში შედარებით უკეთ ვითამაშეთ. სწრაფი გოლიც გავიტანეთ და მეტოქეზე ზეწოლის გაგრძელებაც ვცადეთ, მაგრამ ძალა აღარ გვეყო. სამწუხაროდ, რამდენიმე ფეხბურთელმა ჩემი დავალება ვერ შეასრულა. ამას გავაანალიზებთ და დასკვნებსაც გამოვიტანთ. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ ქომაგების გამო ძალიან ვწუხვარ — მათ სტადიონზე მოსვლა და ჩვენი მხარდაჭერა არ დაიზარეს, მაგრამ, მოგებით ვერ გავახარეთ...

...წაგების მიუხედავად, წინ ვიყურებით. პოტენციალი გვაქვს და როცა სრული შემადგენლობა გვეყოლება, სერიოზულ შედეგზე ფიქრი შეგვეძლება. ამ ტესტ-მატჩებში კი ახალგაზრდებსაც ვაძლევ თავის გამოჩენის შანსს. არ მინდა, ვინმემ თქვას, რომ რომელიმე ქართველი ფეხბურთელი იჩაგრება და ნაკრების კარი ჩაკეტილი აქვს.

— კახა კალაძის და მალხაზ ასათიანის თამაშზე რას იტყვით?

— პატიებას არ ვითხოვ და არც თავს ვიმართლებ, თუმცა ერთ მაგალითს გეტყვით: დღეს, დილის თერთმეტის ნახევარზე ვარჯიში გვქონდა. ასათიანმაც და კალაძემაც ვარჯიშზევე დაიჩივლეს, რომ ასეთ მოედანზე თამაში გაჭირდებოდა და ასეც მოხდა. ისინი პოზიციურ თამაშში არიან განსაკუთრებულად ძლიერები და ასეთ მოედანზე რომ გაუჭირდებოდათ, მოულოდნელი არ იყო, თუმცა, ცხადია, ამით თავს არ ვიმართლებ. თანაც, ასათიანმა, ისევე, როგორც გოგიტა გოგუამ და ლევან მჭედლიძემ ტრავმებით ითამაშეს.

— კი მაგრამ, ლატვიელებისთვისაც ხომ იყო მოედანი მოყინული?

— მე ვთქვი, რომ იმ მაგალითით თავს არ ვიმართლებ. უბრალოდ, ფაქტი აღვნიშნე.

— ცუდი თამაშის გამო პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებთ?

— რა თქმა უნდა. მთელ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ. მაგრამ ეს არის ამხანაგური მატჩი, სადაც მე ვცდილობ, ახალბედა ფეხბურთელებსაც მივცე შანსი. რატომღაც ასე გამოვიდა: ვათამაშებ ერთს, მეუბნებიან, მეორე რატომ არ ათამაშო; ვათამაშებ მეორეს, მერე ამბობენ, რატომ წააგეო. კი მაგრამ, შანსი?! შანსი ხომ მინდა, რათა ფეხბურთელები გამოვცადო?!

— რატომ არ გამოიძახეთ ნაკრებში ზურაბ ხიზანიშვილი?

— მისი საკითხი დისციპლინარული ხასიათისაა და ამას გუნდის შიგნით მოვაგვარებთ.

კახა შალამბერიძე

მეორე ტაიმში მალხაზ ასათიანს მეტოქის საჯარიმოშიც ბევრჯერ ნახავდით

ვ. ბარამიძის ფოტო

ზესტაფონი არ დაისჯება და ფინალში ითამაშებს

თურქეთში მიმდინარე „ბელეკის თასის" გათამაშების ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში „ზესტაფონსა" და კორეულ „ჟეჟუს" შორის თამაში ჩაიშალა, როდესაც ანგარიში 1:0 იყო იმერელთა სასარგებლოდ.

მატჩის ჩაშლის მიზეზი კი მოედანზე გაჩაღებული მუშტი-კრივი იყო. ეს ხელჩართული „ომი" გაცილებით „მძვინვარე" ყოფილა, ვიდრე გვეგონა — ფეხბურთელების დამშვიდება მხოლოდ პოლიციის ჩარევით მოხერხებულა.

ასეთმა ფაქტმა იმედი ბრაზილიურ „პტაკსა" და ყაზახურ „შახტიორს" ჩაუსახა — თუ ორგანიზატორები გუნდებს მომხდარი ჩხუბის გამო ტურნირიდან მოკვეთდნენ, მაშინ პირველი ადგილისთვის „პტაკი", ხოლო მესამე ადგილისთვის „შახტიორი" ითამაშებდნენ.

ყაზახები ქართული და კორეული გუნდების დისკვალიფიკაციაზე ღიად საუბრობდნენ, თუმცა იმერული კლუბის პრესსამსახურის ცნობით, ფინალში „ზესტაფონი" ითამაშებს, რადგან ორგანიზატორებს გუნდების მოკვეთა არ უფიქრიათ.

ფინალური მატჩი კი ხვალ გაიმართება და „ზესტაფონის" მეტოქე უნგრულ „ჰონვედსა" და რუმინულ „ფარულს" შორის გაირკვევა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

აქეთ ზვიადი, იქით გიზო

უსტ-კამენგორსკის „ვოსტოკში" მოთამაშე ძმებმა, ზვიად და გიზო ჯელაძეებმა ამხანაგური მატჩები გამართეს.

თუ ზვიადისთვის ამ გუნდის მაისურა უცხო არ არის (ოთხი წელიწადია, „ვოსტოკშია"), გიზოს „ამერიდან" გადასვლის შემდეგ დებიუტი ამხანაგურებში შედგა.

„ვოსტოკმა" ორი მატჩი გამართა და ორივე ერთნაირი ანგარიშით, 2:1 დამთავრდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გერმანულ „ვერლთან" წააგეს, უნგრულ „ჰალადაშს" კი მოუგეს.

გიზომ ორივე მატჩი შეუცვლელად ჩაატარა და მარცხენა ფლანგზე ითამაშა, ზვიადი კი უნგრელებთან ბოლომდე დაიხარჯა, ხოლო გერმანელებთან პირველი ტაიმი ითამაშა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

კორღალიძემ დაჩია ჩაიწერა

პირველი მოლდოვური გოლი ჩაიწერა აქტივში „დაჩიას" ქართველმა ნახევარმცველმა ლევან კორღალიძემ.

„დაჩია" თურქულ შეკრებაზეა, ამხანაგურად ლვოვის „კარპატის" გაეჯიბრა და 1:0 მოუგო. ერთადერთი გოლი კორღალიძემ 25 მეტრიდან ძლიერი დარტყმით გაიტანა.

კარპატელებთან მატჩში კორღალიძესთან ერთად მოედანზე მეორე ქართველი, ჯაბა დვალიც თამაშობდა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

რუსის ტოლი ბელარუსი

ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთმა მეტოქე რუსეთმა ბელარუსთან ამხანაგურ მატჩში 1:1 ითამაშა.

თურქულ შეკრებაზე მყოფ რუსთაგან გოლი ფაიზულინმა გაიტანა, ანგარიში კი ბელარუსმა კრივეცმა გახსნა.

რუსეებმა მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩაატარეს: *ჯანაევი (კერჟაკოვი 30, შუნინი 59), იატჩენკო, ეფიმოვი (კოროტკოვი 22), გრანატი, კუდრიაშოვი (ლებედევი 59), სამსონოვი (ბაირიევი 53), კ. კომბაროვი, დ. კომბაროვი, ფაიზულინი (ვოლიშევი 59), კაჟაროვი (ძიუბა 46), პრუდნიკოვი.*

რობი კინს მწვრთნელი ვერ გაუგია და თანაგუნდელების ვერ გაუგია

ირლანდიის ნაკრებმა გუშინ კვლავ დროებითი მწვრთნელის, დონ გივენსის თავკაცობით ითამაშა ბრაზილიასთან, ახალი დამრიგებლის დანიშვნას კი „კელტებმა" ვერა და ვერ მოაბეს თავი.

„იმედი მაქვს, უახლოეს 10 დღეში გვეცოდინება მწვრთნელის ვინაობა. მერწმუნეთ, დაახლოებითაც კი არ ვიცი, ვინ იქნება იგი, მაგრამ ვინც უნდა იყოს, მას ამბიციური ფეხბურთელები დახვდებიან, რომლებსაც ძალიან უნდათ, სანაკრებო დონეზე რაღაცას მიაღწიონ" — თქვა ირლანდიის ნაკრების კაპიტანმა და მეგოლემ რობი კინმა.

უკვე ვწერდით, რომ სანაკრებო კარიერა დასრულა „ლივერპულის" მცველმა სტივ ფინანმა, რომელსაც თანაამპლუელი ენდი ობრაიენიც მიჰყვა. რობი კინი კი მათ კვალზე წასვლას ჯერ არ აპირებს...

„არ ვიცი, რატომ მიიღეს ობრაიენმა და ფინანმა ასეთი გადაწყვეტილება. ალბათ, საამისო მიზეზი ჰქონდათ. პირადად მე ირლანდიის ნაკრებში თამაში მსიამოვნებს".

ილია ნანოგაფვილი

ზღვისპირული სამზადისი

ოლიმპი ბათუმს დაუზავდა

საქართველოს ჩემპიონი რუსთავის „ოლიმპი“ მეორე წრისთვის მზადებას ურეკში აგრძელებს.

გუშინ რუსთაველებმა მორიგი ტესტ-მატჩი გამართეს. მათი მეტოქე „ბათუმი“ იყო.

შეხვედრა უხვგოლიანი გამოდგა და 2:2 მორჩა.

„ოლიმპმა“ პირველ წუთებში ორჯერ გაუტანა ზღვისპირელებს — მე-6 წუთზე რევაზ გეწაძე გამოირჩა, მე-12 წუთზე კი — ზვიად მეტრეველი.

ანატოლი პისკოვეცის შეგირდები პირველ ტაიმში საგრძნობ უპირატესობას ფლობდნენ და ორი გოლის გარდა, ხელსაყრელი მომენტებიც ბლომად შექმნეს, თუმც მეტი ვეღარ მოახერხეს.

მეორე ტაიმში პისკოვეცმა სხვა შემადგენლობა გამოიყვანა და ბათუმელებმაც ანგარიშის გათანაბრება შეძლეს. 50-ე წუთზე გუნდის ახალწვეულმა გიორგი თურმანიძემ გაიტანა შორეული დარტყმით, ხოლო მე-80 წუთზე ალექსანდრე ბაციკაძემ დაარტყა ზუსტად.

ბურაბ დოლაბერიძეს ფოტო

გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

ოლიმპი: მერლანი, მახვილაძე, სილაგაძე, ჭიჭკეიშვილი, გეწაძე, კახელიშვილი, ხუბუა, გაბედავა, სტეფანიშვილი, ყრუაშვილი, ზ. მეტრეველი.

მეორე ტაიმში შეკვიდნენ: შეყრილაძე, მახვილაძე, აკუასაგა, ორბელაძე, მგელაძე, სებისკვერაძე (ლ. მეტრეველი 65), ნ. ლაბაძე.

ბათუმი: თოთლაძე, კუნჭულია, გალოგრე, თედორაძე (ა. ბაჯელიძე 75), მაკარიანი, ბეჟანიძე, გ. თურმანიძე, ცანავა (ოქრუაშვილი 60), დემურაძე (ბ. მახარაძე 50), ბაციკაძე (ლ. მახარაძე 85), ტუღუში (მამულაძე 55).

ბათუმელებს ტრავმის გამო არ ჰყავდათ მიხეილ კაკალაძე.

9 თებერვალს ურეკში „ოლიმპი“ ბოლნისის „სიონს“ გაეჯიბრება და მეორე დღეს რუსთავში დაბრუნდება. „ბათუმს“ კი ორი ტესტ-მატჩი აქვს დაგეგმილი — ხვალ ზუგდიდის „მგლებთან“, ხოლო 11-ში პირველლიგელ ჭიათურის „მაღაროელთან“.

ორივე შეხვედრა ბათუმში გაიმართება.

ნუკრი ლოლაძე

ბორჯომი ისევ დაუგაზავია



გადრი ჯითილაძის ფოტო

მტერს არ უსურვებს კაცი, ისეთ დღეშია ახლა „ბორჯომი“ — პირველი წრის დასრულების შემდეგ გუნდი მწვრთნელ-ფეხბურთელებმა დატოვეს.

თუმცა რამდენიმე დღის წინ ვლადიმერ ხაჩიძემ „სარბიელს“ უთხრა, დავბრუნდი და მეორე წრეშიც გუნდს ისევ მე ვუთავკაცებო.

გუშინ ისევ შევეხმიანეთ ხაჩიძეს და აი, რა გვითხრა: „ფეხბურთელებიდან ჯერ არავინ მოსულა და მეც ჯერჯერობით უსაქმოდ ვარ. როგორც კლუბის ხელმძღვანელობა მეუბნება, გუნდი 10 თებერვლის შემდეგ შეიკრიბება“.

შეგახსენებთ, რომ „ბორჯომი“ 17 თებერვალს საქართველოს თასის მეოთხედფინალში გორის „დილას“ უნდა შეხვდეს...

ნუკრი ლოლაძე

მერანი ლოკომოტივიდან შეივსო

თბილისის „მერანი“ დედაქალაქში აგრძელებს მეორე წრისთვის მზადებას.

დავით ეჯიბიშვილის გუნდში ერთი სიახლეა — თბილისის „ლოკომოტივის“ შემტევი ნახევარმცველი მიხეილ ჟღენტი სეზონის ბოლომდე „მერანში“ ითამაშებს.

ეჯიბიშვილის თქმით, უახლოეს დღეებში გადაწყდება, წავლენ თუ არა შეკრებაზე ზღვისპირეთში. ორი ტესტ-მატჩი კი უკვე დაგეგმეს — 12 თებერვალს „ლოკომოტივს“ შეხვდებიან, 15-ში კი — საჩხერის „ჩიხურას“.

ნუკრი ლოლაძე

ახალციხე ლიხს იქით და ლიხს აქეთ

„მესხეთის“ მთავარი მწვრთნელი
კობა თედიაშვილი

გადრი ჯითილაძის ფოტო

გუშინ ახალციხის „მესხეთი“ ქუთაისს ესტუმრა და პირველლიგელ „ტორპედოს“ გაეჯიბრა. სტუმრებმა 2:0 იმარჯვეს.

ორივე გოლი პირველ ტაიმში გავიდა — მე-15 წუთზე სამადაშვილმა გაიტანა, 30-ეზე კი მუშკუდიანმა ივარგა.

„მესხეთმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *სომხიშვილი, ლ. მერებაშვილი, კობესაშვილი (ვ. აკოფიანი 46), ლეკიშვილი, ნადირაშვილი, კოშკაძე, კ. ხანიშვილი (ინასარიძე 46), გვირჯიშვილი, თაყაძე (სუდაძე 46), მუშკუდიანი, სამადაშვილი.*

ახალციხელები შეკრებას ბორჯომში გააგრძელებენ, 10 თებერვალს კი თბილისში ჩამოვლენ და ცხინვალის „სპარტაკთან“ ტესტ-მატჩს გამართავენ.

ნუკრი ლოლაძე

ქართველ ქალებს ბაქოში დაუჭერეს

საქართველოს ქალთა ნაკრები აზერბაიჯანში გასამართ საერთაშორისო ტურნირში სათამაშოდაა მიწვეული.

ტურნირი, რომელიც უეფას ეგიდით, ბაქოში გაიმართება, 27 აპრილს დაიწყება და 4 მაისს დასრულდება.

ქართველებისა და აზერბაიჯანელების გარდა, ბაქოში ლიტველები და მაკედონიელებიც არიან მიწვეულნი.

თამაშები წრიული სისტემით ჩატარდება და ტურნირის გამარჯვებული ქულებით გამოვლინდება.

ძახა შალამბერიძე

ანანიძემ დინამო სპარტაკში გაცვალა

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების წევრი ჯანო ანანიძე კიევის „დინამოდან“ მოსკოვის „სპარტაკში“ გადავიდა.

ეს ტრანსფერი ძალიან მოულოდნელია ჩვენთვის, რადგან ანანიძეზე კიეველები დიდ იმედებს ამყარებდნენ. ის ხომ ჩვენი 17-წლამდელების ერთ-ერთი ლიდერი და ბომბარდირი იყო, თუმცა, როგორც ჩანს, ამბერიდან „სპარტაკისთვის“ გაირჯება.

მოსკოველთა სარეზერვო გუნდი იტალიაში „კოპა კარნევალეს“ ტურნირზე სათამაშოდ გაემგზავრა და იქ ანანიძეც იახლა.

ძახა შალამბერიძე

მამამ შვილი წაიყვანა



ზურაბ სანაია

რუსეთის პირველდივიზიონელ კალინინგრადის „ბალტიკაში“ ჩვენებური ზურაბ სანაია რომ დაინიშნა მთავარ მწვრთნელად, ადრე გამცნეთ. ახლა კი იმას გეტყვით, რომ „ბალტიკაში“ მისი ვაჟი, თავდამსხმელი ანზორ სანაია გადავიდა.

სანაია აქამდე „სპორტაკადემკლუბში“ თამაშობდა, ახლა კი მამამისის დარიგებების მოსმენა მოუწევს...

და ერთიც: „ბალტიკაში“ ისინჯება საქართველოში დაბადებული გიორგი მიქაძე, ვინც რუსეთის მოქალაქეა და ადრე „სატურნში“ თამაშობდა.

ძახა შალამბერიძე

დემეტ პასებზე ჩამოარიგა

კიევის „არსენალმა“ მორიგი საკონტროლო მატჩები მოიგო, ჯერ „მეთოფეებს“ ყაზახური „ჟეტისუ“ „შემოელახათ“ — 3:0.

გიორგი დემეტრაძე მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა და ორი საუოლე პასი მიითვალა.

მერე კი კიეველებმა ხორვატული „ზაგრები“ დაამარცხეს (2:0). დემეს ერთი მომენტი ჰქონდა, თუმცა მისი მაკრატელა მეკარემ გააუვნებლა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ომარ თეთრაძის ქართული შვიდეული

მახაჩყალის „ანჟი“ თურქულ შეკრებაზე გაემგზავრა და მწვრთნელმა ომარ თეთრაძემ შვიდივე ქართველი იახლა.

ქართული შვიდეულიდან სამს — მიხეილ აშვეთიას, ვალერი აბრამიძესა და გოჩა ხოჯავას — კლუბთან კონტრაქტი აკავშირებს, ზურაბ არზიანი ყაზანის „რუბინიდანაა“ განათხოვრებული, ხოლო სამეული — გიორგი ნავალოვსკი, რევაზ ბარაბაძე და რევაზ ჯიქია — თურქეთში ეცდება, თეთრაძეს თავი მოაწონოს და კლუბთან კონტრაქტი გააფორმოს.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ცხადაძე შინ ლომიძემ გააცილა

კახა ცხადაძის გაწვრთნილმა „სტანდარდმა“ თურქულ შეკრებაზე ბოლო ამხანაგური მატჩი გამართა კიშინიოვის „ზიმბრუსთან“, რომელშიც მამუკა ლომიძე თამაშობს.

მატჩი 3:3 დასრულდა, ლომიძემ კი სრულად ითამაშა.

ცხადაძისთვის ეს მეოთხე მატჩი იყო „სტანდარდის“ მწვრთნელობისას — 2 მოიგო, ერთი წააგო და ერთი ფრედ ითამაშა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ბეკენბაუერი ხვრინვამ გააბრაზა

სამი მძინარე ბიჭი

ავსტრია-გერმანიის წუხანდელი ამხანაგური მატჩის წინ ფრანც ბეკენბაუერმა სამი ფეხბურთელის გასაკრიტიკებლად მოიცალა. „კაიზერ ფრანცის" რისხვა ლუკაშ პოდოლსკიმ, ბასტიან შვაინშტაიგერმა და ფილიპ ლამმა იწვნიეს. ბეკენბაუერის აზრით, სამეული მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შემდეგ გაზარმაცდა. „წელიწადნახევრის წინ ისინი სამშობლოში ლამის გმირებად შერაცხეს, ახლა კი სადღაც ჩაიკარგნენ და ველარ ვითარდებიან, წინ ნაბიჯიც არ გადაუდგამთ. შესაძლოა, ამის მიზეზი მათ ფსიქოლოგიაში უნდა ვეძიოთ, მაგრამ ფაქტია, ბუნდესლიგაში არც ერთს არ უთამაშია ისე კარგად, როგორც მსოფლიოს ჩემპიონატზე. ვიმედოვნებ, რომ ახალგაზრდები ძილბურანიდან გამოვლენ და ევრო 2008-ზე კვლავ გაიბრწყინებენ — განაცხადა „კაიზერ ფრანცმა". ამასთან, ბეკენბაუერმა იოახიმ ლიოვს შეტევაში კევინ კურანისა და მიროსლავ კლოზეს წყვილის გამოყენება ურჩია. მესამე ფორვარდი მარიო გომესია, მაგრამ, „ბაიერნის" პრეზიდენტის აზრით, კურანი გაცილებით მოქნილია, სწრაფია და კლოზეს უფრო კარგად შეეწყობა, ვიდრე გომესი.

სანამ ფრანც ბეკენბაუერი კრიტიკოსობდა, გერმანიის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრებს პრემიების ოდენობა დაუდგინა. ევროპის ჩემპიონატის მოგების შემთხვევაში, თითოეული ფეხბურთელი 250 ათას ევროს ჩაიჯიბავს. ჯგუფიდან თუ ვერ გააღწევენ, 50 ათასზე მეტს ვერ ელირსებიან, ნახევარფინალში დამარცხება 100 ათასი ღირს, ხოლო ფინალში წაგება — 150 ათასი.

ვაჟა ხუციშვილი

იერომ ბებერს როხა გაუნალდა

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულმა დირექტორმა ფერნანდო იერომ განაცხადა, რომ ეროვნულ გუნდში 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის დასრულებამდე სამწვრთნელო ცვლილება არ მოხდება.

„ფურია როხას" თავკაცი ახლა, მოგეხსენებათ, მხცოვანი ლუის არაგონესია. „ბებერმა" „როხა" სასწაულებრივად გამოაცოცხლა, 2007 წელი დაუმარცხებლად ჩაამთავრა და ნაკრები ევრო 2008-ზე მოახვედრა. თუმც ორიოდე დღის წინ ესპანეთში სანაკრებო „გადატრიალებაზე" ალაპარაკდნენ — ამბობდნენ, რომ ფედერაციას ახალი დამრიგებლის ვინაობა უკვე დაზუსტებული აქვს და დონ ლუისის მწვრთნელობას დიდი დრო არ უწერიაო.

ფიცხმა არაგონესმა ფედერაციას გადადგომის მოთხოვნით დაუყოვნებლივ მიმართა — თქვენ, თურმე, ახალი სპეციალისტი შეგირჩევიათ, ნაკრებს კი მხოლოდ ერთი მთავარი მწვრთნელი სჭირდება და ასეთ პირობებში ვერ ვიმუშავებო. სწორედ ამ დროს გამოჩნდა სცენაზე „რეალის" სახელგანთქმული ექსკაპიტანი და დაბეჯითებით თქვა, ხმები ნაკრებიდან ლუისის სავარაუდო დათხოვნის თაობაზე ჭორია და ფედერაცია ევრო 2008-ის დასრულებამდე სხვა მწვრთნელის კანდიდატურების განხილვას არ აპირებსო.

„ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ანხელ მარია ვილარი და სრულიად ფედერაციაც ნაკრების სათავეში ლუის არაგონესის დარჩენის მომხრეა. რასაკვირველია, ეროვნული გუნდის სამომავლო თავკაცის გამოძებნაც გვევალება, მაგრამ გარწმუნებთ, ევროპის ჩემპიონატის დასრულებამდე „ფურია როხას" არაგონესი უხელმძღვანელებს" — თქვა იერომ.

ლადო ხოფერიძე

აგირეს მიღმა დანახული პელეგრინი

მადრიდის „ატლეტიკოში" ჯერ ვერ გაურკვევიათ, სამომავალსეზონოდ ხავიერ აგირე დარჩება მწვრთნელად, თუ არა. მექსიკელ სპეციალისტს „ათლეტებთან" კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება, თუმც „ვისენტე კალდერონის" გუნდის უფროსობა აგირესთან ახალი ხელშეკრულების თაობაზე თათბირს არ ჩქარობს.

„კალდერონზე" მომავალ თავკაცად (თუ, რა თქმა უნდა, პატივცემული აგირე თანამშრომლობაზე ვერ დაითანხმეს) „ვილიარეალის" დღევანდელი დამრიგებელი, ჩილელი მანუელ პელეგრინი ითვლება, რომელიც ესპანურ ფეხბურთს და პრიმერადივიზიონს შესანიშნავად იცნობს და მადრიდში დიდი მხარდაჭერით სარგებლობს. ამასწინათ ჩილელმა „ვილიარეალთან" კონტრაქტი კიდევ ორი სეზონით გაახანგრძლივა, თუმცა ესპანეთის სატახტოში იმედი აქვთ, რომ პელეგრინის „ატლეტიკოში" გადაიბირებენ.

„ვილიარეალის" სათამაშო სტილი მადრიდელთა თავკაცობას ძალიან მოსწონს. ზაფხულში ამ ორ კლუბს საქმიანი ურთიერთობაც ჰქონდა, როცა დიეგო ფორლანი „მადრიგალიდან" „ვისენტე კალდერონზე" გადავიდა.

ხავიერ აგირეს დარჩენის ვარიანტი თუ ჩაიშალა, „ატლეტიკოში" ალბათ მაინც პელეგრინის მიანიჭებენ უპირატესობას, რადგანაც სხვა კანდიდატთა (რაფაელ ბენიტესი, ჟოზე მაურინიუ) მადრიდში გამწვრთნელება ბევრად უფრო ძნელი საქმე იქნება. განსაკუთრებით, მაურინიუსთან მოლაპარაკებაა რთული — პორტუგალიელი ხომ ასტრონომიულ ხელფასს ითხოვს...

ჯერჯერობით კი „ათლეტები" ხავიერ აგირეს იმედზე არიან, ვისაც, სხვათა შორის, მთელი შემადგენლობა მხარს ბრმად უჭერს. ეს მანიშენსთან დაკავშირებული კონფლიქტის დროსაც გამოჩნდა, როცა ფეხბურთელები არა პორტუგალიელი თანაგუნდელის, არამედ მწვრთნელის გვერდით დადგნენ.

ლადო ხოფერიძე

ბარსამ რეალს გარაი მოჰპარა

„ბარსელონამ" მადრიდის „რეალს" და ტურინის „იუვენტუსს" დაასწრო და ეზეკიელ გარაისთან ხელშეკრულება გააფორმა. ხსენებული სამი გრანდი „რასინგის" ცენტრალურ მცველზე უკვე კარგა ხანია, ნადირობდა, თუმც კატალონიელებმა უფრო იყოჩაღეს და არგენტინელ უკანახაზელს მომავალი 5 სეზონის განმავლობაში „კამპ ნოუზე" ვიხილავთ.

ეზეკიელ მარსელო გარაის ხელში ჩაგდება ხუან ლაპორტას გუნდს დაახლოებით 20 მილიონი დოლარი დაუჯდება („რასინგთან" არგენტინელის კონტრაქტის ანულირება 18 მილიონი ევრო ღირს). ესპანელ მწვრთნელთა აზრით, გარაი მსოფლიოს საუკეთესო ცენტრალურ მცველთა ხუთეულში შედის. მიგელ ანხელ პორტუგალი, გასულ სეზონში „რასინგის" თავკაცი და ამჟამად მადრიდის „რეალის" ერთ-ერთი მწვრთნელი ამბობს, რომ გარაი თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი ბრწყინვალე უკანახაზელია და დიდ გუნდში თამაშის შემთხვევაში, მსოფლიოს სამ საუკეთესო მცველს შორისაც აღმოჩნდება.

„ბარსელონა" და „რეალი" კი თავიანთ დაუსრულებელ სატრანსფერო ომს ფრანგულ მიწაზე აგრძელებენ. გრანდების სამიზნეზე „ლიონის" ფორვარდი ქარიმ ბენზემაა. ესპანელთა გარდა, ბენზემას მსურველნი არიან „ინტერი" და „მილანი". ფეხბურთელის სატრანსფერო ღირებულება კი 45 მილიონი ევროა.

ლადო ხოფერიძე



ჰრისი სოფელშია

ინგლისური პრესისთვის ცნობილი გახდა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" გარემარბმა კრიშტიანუ ანუ კრის რონალდუმ — მისი სახელი ინგლისურად და თან შემოკლებით სწორედ ასეა — 4 მილიონ გირვანქად ახალი სასახლე იყიდა. გვარიანად დიდი მამული ჩეშირში, კერძოდ კი ოლდერლი ეჯში მდებარეობს და პოშ-ადგილი გახლავთ. რამდენადაც ცნობილია, რონალდუს სიახლოვეს კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის მამულია.

კანუტე: მეც მითხრეს, თუ არ მოხვალ, ჯილდოს დაკარგავ

„სევილიას“ მალელი ფორვარდი ფრედი კანუტე აფრიკის 2007 წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. თუმცა ამ ჯილდოსთან დაკავშირებით საკამათო სიტუაციაც შეიქმნა — კოტდივუარელმა დიდიე დროგბამ მედიასთან განაცხადა, რომ შავი კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელობის თიკუნი კანუტეს კი არა, მას ეკუთვნის. კანუტეს ესპანური „ასი“ გაესაუბრა

— დიდიე დროგბამ ორშაბათს თქვა, რომ აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული წილად მას უნდა რგებოდა, თუმც რახან კოტდივუარელი დაჯილდოების ცერემონიალს ვერ დაესწრო, ფავორიტად თქვენ გამოგაცხადეს...

— ეს ცოტათი რთული ისტორიაა. დროგბა ცერემონიალს ვერ დაესწრო და ვიღაცამ ტელეფონით დაურეკა და უთხრა, რომ თუ ვერ გამოცხადდებოდა, ჯილდოს მეორეადგილოსანს მიაკუთვნებდნენ. ეს ამბავი საჯაროზე მავანმა გაზეთმა გამოიტანა და ყველამ ხსენებული ვერსია აიტაცა...

— და თქვენ რას იტყვით ამის შესახებ?

— რა გითხრათ... დღეს ყველა ამბობს, რომ სხვაზე მეტად პრემიის ღირსი დროგბა იყო, მაგრამ დაჯილდოების ცერემონიამდე უამრავი ხალხი მიჭერდა მხარს და მეუბნებოდა, 2007-ში „სევილიაში“ მიღწეული წარმატებებისა და მნიშვნელოვანი გოლების გამო ტიტული შენ გეკუთვნისო.

— დროგბასთან რა ურთიერთობა გაქვთ? საერთოდ, იცნობთ ერთმანეთს?

— დიახ, ერთმანეთს ვიცნობთ და აქამდე არანაირ პრობლემას არ შევუწუხებივართ. ვფიქრობ, დიდიე სიმართლეს ამბობს, რადგანაც ტელეფონით მეც დამიკავშირდნენ და მითხრეს — თუ ცერემონიალზე არ გამოცხადდები, ჯილდოს მეორეადგილოსანს გადავცემთო. ალბათ, მალის ნაკრები აფრიკის თასს რომ არ გამოთიშოდა, დაჯილდოებაზე ვერც მე მოვხვდებოდი.

— „აფრიკის ოქროს ბურთზე“ ხმის მიცემა საიდუმლოდ განხორციელდა. თქვენ თუ იცით, რამდენი ქულა მოგაკუთვნეს?

— არა, ამის შესახებ მე კი არა, აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციას უნდა შეეკითხოთ. დაჯილდოებაზე საიდუმლო დეტალები არ გაუმხელიათ.

— ნებისმიერ შემთხვევაში, ფრედი კანუტე აფრიკის 2007 წლის საუკეთესო ფეხბურთელია. რას ნიშნავს თქვენთვის ეს აღიარება?

— ძალიან მნიშვნელოვანი ჯილდოა. საერთოდ, ყველა დიდი ჯილდო მნიშვნელოვანია, თუმც „აფრიკული წარმოშობისა“ მაინც სულ სხვაა... ჩემთვის, ჩემი ოჯახისთვის და საერთოდ, მალისთვის აფრიკის საუკეთესობა დიდი პატივია. ვაღიარებ, რომ სიურპრიზი იყო, თუმცა, როგორც უკვე გითხარით, ხალხი მეუბნება, „სევილიაში“ ყოჩაღობისთვის ამას იმსახურებდი.

— წლეულს მალის ეროვნულმა გუნდმა აფრიკის თასზე გამოსვლა დაასრულა. თქვენც კვლავ ესპანურ პრიმერადივიზიონს და „სევილიას“ უბრუნდებით. „ბარსელონასთან“ მომავალ თამაშზე რას ფიქრობთ?

— კუნთებთან დაკავშირებით პრობლემები შემექმნა, მაგრამ თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ შაბათს საბრძოლო ფორმაში ვიქნები და „ბარსასთან“ ვითამაშებ. კატალონიელებთან ტრადიციულად კარგად გამომდის და „ბარსელონასთან“ მოსაგებადაც განსაკუთრებული მოტივაცია გვექნება.

კოლინა პლატინის აზრს იზიარებს

სერია A-სა და B-ს მატჩებზე მსაჯების დამნიშვნელი პიერლუიჯი კოლინას კრიტიკა არ წყდება. პრინციპში, ამის საფუძველიც არის, რადგან იტალიელი არბიტრები, ფაქტობრივად, ყოველ ტურში უხეშ შეცდომებს უშვებენ და საბოლოოდ ყველაფერი კოლინას ბრალდება.

შეგახსენებთ, საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ რამდენიმე თვის წინ კოლინამ მუქარის წერილები მიიღო და მას სპეციალური დაცვა მიუჩინეს. მიუხედავად ამისა, იგი სიმშვიდეს ინარჩუნებს და თავის გასამართლებელ მიზეზებს ყოველთვის პოულობს.

„გასულ ტურს თუ გავიხსენებთ, „ინტერს“ „ემპოლის“ კარში ნამდვილად ტყუილი პენალტი დაუნიშნეს. დეიან სტანკოვიჩის დარტყმული ბურთი იგლი ვანუკის სახეში მოხვდა და სხვაგან არსად. ამის მერე ხელზეც რომ შეხებოდა, პენალტი არ იქნებოდა. როგორც ვთქვი, როცა ფეხბურთელს ბურთი სხეულის რომელიმე ნაწილზე ხვდება და მერე რიკოშეტით ხელზე, თითქმის ყველა შემთხვევაში, თერთმეტმეტრიანი დასანიშნი არ არის“ — თქვა კოლინამ.

თავხოტორა კოლინა, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო მსაჯის წოდებას მრავალი წლის განმავლობაში ინარჩუნებდა, გამოსავალს მინდორზე ორი მსაჯის შეშვებაში ხედავს. ამ აზრს იტალიაში უკვე მოჰყვა ცინიკური გამოხმაურებები, აზრი „კალიარის“ პრეზიდენტმა მასიმო ჩელინომაც გამოთქვა. თუმცა ჯერ კოლინას მოვუსმინოთ:

„მომწონს უეფას პრეზიდენტის მიშელ პლატინის იდეა ორი მსაჯის შესახებ. ორ არბიტრს გაცილებით უკეთ შეეძლება საკამთო ვითარების შეფასება და სწორი გადაწყვეტილებების მიღება. ამით მინიმუმამდე დავიყვანთ შეცდომების რაოდენობას. არ დაგავიწყდეს, რომ მსაჯები ჩვეულებრივი ადამიანები არიან“

მასიმო ჩელინო: „მინდორზე ორი, სამი ან ათი მსაჯის შეშვება არ შეიძლება. ეს იგივეა, რომ კარში ორი გოლკიპერი ჩავაყენოთ. თუმცა ჩვენი მსაჯების დამნიშვნელ პიერლუიჯი კოლინას მხოლოდ ექვსთვიანი მუშაობით ნუ შევაფასებთ. ახლა იგი რთულ ვითარებაშია და თანადგომა გვმართებს. გამოსავალი ერთად უნდა ვიპოვოთ. ბევრი ახალი მსაჯი გვყავს, რომელთაც დასამკვიდრებლად დრო სჭირდებათ“.

კოლინას დამცველად გერმანიიდან მიუხვნის „ბაიერნის“ ფორვარდი ლუკა ტონიც გამოუჩნდა: „სიმართლე რომ ვთქვათ, კამათი, დებატები და ეჭვები იტალიელებს სისხლში გვაქვს. ბუნდესლიგას რომ შეხედოთ, დაინახავთ, რომ იტალიელი მსაჯები ბევრად უფრო მაღალი კლასის არიან, ვიდრე აქაურები. გერმანელებს ძალიან გაუმართლათ, რომ მათ მცდარ გადაწყვეტილებებს ისევე არ ეკიდებიან და არჩევენ, როგორც იტალიაში“.

გიორგი ძაძაბაძე

ალბერტო პალოსკი — კარლო ანჩელოტის ბოლო იმედი

წითელ-შავი პრობლემები

როგორც იცით, „მილანის“ თავდასხმაში ახლა სერიოზული კრიზისია. ალეშანდრე პატო დაშავდა და სულ ცოტა სამ კვირას გააცდენს. გაურკვეველი ვადით ლაზარეთში რჩებიან ფილიპო ინძაგი და რონალდო. მომავალ უქმეებზე „სიენასთან“ მატჩისთვის კი ალბერტო ჯილარდინოა დისკვალიფიცირებული.

ფორვარდებს რომ შევეშვათ, „როსონერის“ ლიდერი რიკარდო კაკაც დაშავებულია და „მილანს“ თავდასხმაში კაცი ფაქტობრივად არ ჰყავს. თუმცა „როსონერიმ“ მარტივი გადაწყვეტილება მიიღო, ახალგაზრდა ალბერტო პალოსკი გამოიძახა.

„ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ „არსენალთან“ საპასუხო მატჩისთვის პატო გვეყოლება. სხვა თავდამსხმელებზე ჯერ ვერაფერს გეტყვით. სამწუხაროა, რომ ჯენარო გატუზო გვაკლია, იმედია, იგი მალე დაგვიბრუნდება. სხვა მხრივ, მივესალმები ჟელკო კალაჩის პროგრესს, გვყავს ნელსონ დიდაც, მაგრამ ძირითადში ის იქნება, ვინც დაიმსახურებს“ — თქვა „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ.

გიორგი ძაძაბაძე

აფრიკის ეროვნებათა თასის ტურნირზე 7 თებერვალი ნახევარფინალის დღეა. ტურნირის მასპინძელი განის ნაკრები კამერუნელებს დაუპირისპირდება, ხოლო ფინალის მეორე საგზურისთვის ერთმანეთს კოტ დივუარისა და ეგვიპტის ეროვნული გუნდები შეერკინებიან.

„ნებისმიერ დიდ ტურნირზე ნახევარფინალი ყველაზე რთულია ერაპია — თქვა განის ნაკრების მწვრთნელმა კლოდ ლე რუამ — თუნდაც აფრიკის 1998 წლის ეროვნებათა თასი გავიხსენოთ. მასპინძელმა მაროკომ კამერუნთან ნახევარფინალში წაგო, მსოფლიოს წინა ჩემპიონატზე კი გერმანია იტალიასთან დამარცხდა".

განელთა დაცვის ბურჯი და კაპიტანი ჯონ მენსა დღეს ვერ ითამაშებს — ნიგერიასთან მეოთხედფინალში გაძევეს და დისკვალიფიცირებულია. „ჯონი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მცველია და უმისოდ ცოტათი ტაქტიკის შეცვლა მომიწევს" — აღნიშნა ლე რუამ, რომელიც 1988 წელს სწორედ კამერუნს წვრთნიდა და თასი მოგებინა. ფრანგი „მოუთვინიერებელ ლომებს" მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატზეც ოვკაცობდა.

დაცვის ცენტრში მენსას ნაცვლად, ალბათ, მიკაელ ესიენი ითამაშებს, ვისთვისაც ეს როლი უცხო არაა. ჟოზე მურინიუს „ჩელსიში" იგი არაერთხელ გაუმცველებია. ესიენის უკან დაწევა განელთა ნახევარდაცვას არ მოუხდება, რადგან ჩელსელმა ამ ტურნირზე ორი გოლი მითვალა. მენსას გარდა

ესიენი წითელი ბარათის ნაცვლად
კალუმ ეგვიპტე აცხენა: მთავარია გაცხენა!

მიკაელ ესიენი და კლოდ ლე რუა

განელებს, შესაძლოა, ტრავმირებული ფორვარდი ასამოა გიანიც დაკლდეთ.

რაც შეეხება კამერუნს, ჯგუფურ ეტაპზე ეგვიპტესთან მარცხის (2:4) შემდეგ, „ლომებს" ფავორიტად აღარ მიიჩნევდნენ, მაგრამ გუნდი „გაცოცხლდა", მომდევნო სამ მატჩში 11 გოლი გაიტანა და 2002 წლის შემდეგ ნახევარფინალს პირველად უწია. განამ ნახევარფინალში ბოლოს 1996 წელს ითამაშა. კამერუნსაც და განასაც აფრიკის ეროვნებათა თასი ოთხ-ოთხჯერ მოუგიათ.

ეგვიპტე და კოტ დივუარი 2006 წელს ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და მასპინძელმა „ფარაონებმა" პენალტების სერიაში 4:2 მოიგეს. „სპილოებს" რევანში სწყურიათ, ფორვარდმა სალომონ კალუმ კი თქვა, რომ მათ ტურნირზე საუკეთესო გუნდი ჰყავთ, რომელსაც ვერავინ შეაჩერებს და ჯილდოს აუცილებლად მოიგებენ. „ეგვიპტე ძლიერია, მაგრამ გვინეასავით დაცვაში არ ჩადგება, გახსნილ თამაშში კი ჩვენ უფრო ყოჩაღები ვართ" — განაცხადა კალუმ.

ეგვიპტეს ნაკრების მწვრთელი ჰასან შეჰათა: „კოტ დივუარი აშკარად ძლიერია ამ ტურნირზე და მისი შემტევი ტრიოს (კალუ, დროგბა, დინდანი) შეჩერება ნებისმიერი დაცვისთვის ურთულესი საქმეა, თუმცა ჩვენ აფრიკის ჩემპიონები ვართ და ტიტულის შენარჩუნება გვსურს".

აფრიკის ეროვნებათა თასზე ეგვიპტე და კოტ დივუარი 1970 წლიდან დღემდე ცხრაჯერ გადაეყარნენ ერთმანეთს. „ფარაონებმა" ექვსჯერ მოიგეს, ორი მატჩი ფრედ დასრულდა, კოტ დივუარმა კი ერთხელ, 1990-ში, 3:1 იმარჯვა.

ვაჟა ხუციშვილი

ნანა აგოგოს: აი, გოგო!
პაპამ ბიჭს გოლში გოგო გადაუხადა

განის ნაკრების ფორვარდს ჯუნიორ აგოგოს ნიგერიის კარში გატანილი გოლისთვის არაჩვეულებრივი, ცოცხალი პრემია შესთავაზეს. მეოთხედფინალურ მატჩში განელები 0:1-ს აგებდნენ, მაგრამ ესიენმა გაათანაბრა, აგოგომ კი 83-ე წუთზე გაიტანა და მასპინძლები ნახევარფინალში გაიყვანა. მავან განელს, 82 წლის პაპას, რომელსაც ნანა ჰქვია, გოლი ისე გაუხარდა, რომ ბიჭს სასტუმროში მიაკითხა. ნანას მეგოლისთვის უთქვამს: აქ იმისთვის მოვედი, რომ ჩემი მშვენიერი შვილიშვილი გაგაცნო. ახლა აქ არაა, ქალაქში საყიდლებზეა წასული და რომ მოვა, შენი იყოსო". „დეილი გრაფიკის" ვებგვერდის ცნობით, ფეხბურთელის პასუხი ასეთი გახლდათ: „დიდი მადლობა დაფასებისთვის. აქ ვარ და თქვენს შვილიშვილს ველოდები".

ვაჟა ხუციშვილი

ნუ დაიჩოქებ!

არსენ ვენგერმა ემანუელ ადებაიორს მუხლებზე გასრიალება აუკრძალა. ტოგოელი ფორვარდი ასე აღნიშნავს ხოლმე გოლს. ფინელი კი შიშობს, რომ ტრავმას მიიღებს. ფრანგმა ადებაიორს სხვა ხერხის მოგონება ურჩია და პატრიკ ვიეირას ამბავიც მოუთხრო. 1997 წელს ვიეირამ ასეთი სრიალის გამო ორთვიანი ტრავმა „ვამოიწერა". ემანუელ ადებაიორმა ამ სეზონში 21 გოლი გაიტანა, მათ შორის 18 — პრემიერლიგაში. გასულ შაბათს „სიტისთან" მან დუბლი შეასრულა.

პინტო არ დაინდეს

„ჰანოვერის" ნახევარმცველი სერჟიო პინტუ ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. ფეხბურთელი „ჰამბურგთან" შეხვედრის 90-ე წუთზე ნაიჯელ დე იონგთან უხეშობისთვის გააძევეს. ბუნდესლიგის სადისციპლინო კომიტეტმა პინტუს საქციელი განზრახ უხეშობად შეაფასა და არ დაინდო. ჰანოვერელი გუნდს „კარლსრუესთან", „ბაიერნთან", „ბოხუმთან" და „ნიურნბერგთან" ვერ დაეხმარება.

მვარუვარი ხუთ მილიონად

ზიმბაბველი ფორვარდი ბენჟანი მვარუვარი „პორტსმუთიდან" „მანჩესტერ სიტიში" გადავიდა. მის სანაცვლოდ მანჩესტერელებმა 5 მილიონი გირვანქა გადაიხადეს და ფეხბურთელი ახალ გუნდში 75 მატჩზე მეტს თუ ითამაშებს, „პომპეები" დამატებით ფულსაც მიიღებენ. კლუბებს შორის გარიგება 31 იანვარს შედგა, მაგრამ მვარუვარის სამედიცინო შემოწმება უნდა გაევლო და ტრანსფერი ამიტომ შეფერხდა. ზიმბაბველმა, რომელიც „პორტსმუთმა" „ოსერიდან" 2005 წელს იყიდა, ამ სეზონში 12 გოლი მიითვალა.

ჩივასელი ვიკი

უვეიცარიის ნაკრების ნახევარმცველი რაფაელ ვიკი აშშ-ის მეიჯორ ლიგის „ჩივასის" ფეხბურთელი გახდა. 30 წლის ვიკიმ კარიერა „სიონში" დაიწყო, მერე „ვერდერში" (1997) გადაბარგდა, რასაც მადრიდის „ატლეტიკო" და „ჰამბურგი" მოჰყვა. ნაკრებში მას 75-ჯერ უთამაშია, „ჩივასის" მწვრთნელმა პრეკიმ კი განაცხადა: „მოხარულები ვართ, რომ ასეთი ნიჭიერი ნახევარმცველი შევიძინეთ, რომელსაც მარცხენა ფლანგზე თამაშიც შეუძლია და მცველობაც".

უელვამ თავი გამოიცვალა

„უელვას" მწვრთნელი ვიქტორ მუნიოს მანრიკე მოხსნეს და მის ნაცვლად გუნდს დროებით მანოლო სემბრანო უთავკაცებს. 22 მატჩში „უელვამ" ხუთზე მეტი ვერ მოიგო და სეგუნდადივიზიონში გავარდნის კანდიდატია. ამ სეზონში პრიმერადივიზიონში უკვე მეხუთე მწვრთნელი გამოცვალეს. მუნიოსამდე კიკე ფლორესი („ვალენსია), ექტორ კუპერი („ბეტისი"), ხუანდე რამოსი („სევილია") და ვიქტორ ფერნანდესი („სარაგოსა") შეცვალეს.

ახალი ბურთი სერია A-ში

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის განცხადებით, მომავალი სეზონის სერია A 31 აგვისტოს დაიწყება, სერია B-ში კი ახალ ბურთსა და ტექნოლოგიას გამოცდიან. ბურთის გამოცდაზე (კარის ხაზს გადაკვეთს თუ არა) იტალიელებმა უჭლება ფიფას სთხოვეს და დასტური მიიღეს. ეს ტექნოლოგია სათასო მატჩებში გამოიყენეს და გაამართლა.

ვაჭრობა დე ჩელიეს გამო

ნიჭიერი სიენელი ნახევარმცველის პაოლო დე ჩელიეს კონტრაქტის გამოსყიდვა „იუვენტუსს" სურს. იტალიის 21-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელი ამ სეზონში კარგად თამაშობს და იგი საწილოდ „სიენას" და „იუვეს" ეუთვნის. „ტუტოსპორტის" ცნობით, ტურინული კლუბის სპორტული დირექტორი ალესიო სეკო დე ჩელიეს ტრანსფერთან დაკავშირებით სიენელ კოლეგასთან მოლაპარაკებას დაიწყებს.

ჟილბერტო გარბის

„არსენალის" ნახევარმცველი ჟილბერტო სილვა უკმაყოფილოა იმით, რომ ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშებენ. ბრაზილიელმა „გარდიანთან" ინტერვიუში თქვა, თუ ასე გაგრძელდება, ზაფხულში წავალო. „აქ მომავალი არ მაქვს და მომდევნო თვეებში ვითარება საჩემოდ თუ არ გამოსწორდება, გუნდში აღარ გაჩერდები" — ბრძანა ჟილბერტომ.

კაპიტნის კუნთი

„სამპდორიას" კაპიტანი სერჯო ვოლპი მომდევნო ტურში „ნაპოლისთან" ვერ ითამაშებს. გენუელთა ნახევარმცველი გასულ უქმეებზე „ლაციოსთან" მე-16 წუთზე დაშავდა და შესაცვლელი გახდა. სამედიცინო შემოწმებამ დაადგინა, რომ ვოლპის ბარძაყის კუნთი გაუწყდა და სულ მცირე, სამკვირიანი მკურნალობა მოუწევს.

ვაჟა ხუციშვილი

ლიბერტადორესის თასი 2008
შესარჩევი ეტაპი. საპასუხო მატჩები

მინეროსი (ვენესუელა) 2:1 არსენალი (არგენტინა) (0:2)
ლანუსი (არგენტინა) 3:0 ოლვეიდო (ეკვადორი) (0:1)

ათი უდიდესი ინგლისელი

მაშ ასე, გუშინ ინგლისის ნაკრებმა ფაბიო კაპელოს ხელში თავისი პირველი მატჩი გამართა და ამ შეხვედრაში გუნდს სტივენ ჯერარდი კაპიტნობდა. ჯერარდამდე სტივ მაკლარენის არეულ-დარეულ გუნდს „ჩელსის“ კაპიტანი ჯონ ტერი მიუძღოდა მოედანზე, ტერის წინ კი ინგლისური სამკლავური სწორედ იმ დევიდ ბექემს ეკეთა, რომელიც კაპელომ ნაკრებში საერთოდ არ გამოიძახა. და მაინც, ვინ იქნება კაპელოსეული ინგლისის მუდმივმოქმედი კაპიტანი, ამ ქვეყნის ჟურნალისტთა ვარაუდით, ჯერ კიდევ გადასაწყვეტია. ისინი წერენ, რომ მათი სამშობლოს ნაკრების გაძღოლა განსაკუთრებული პატივია და ამაყობენ, რომ არაერთი დიდი კაპიტანი ჰყოლიათ. ამ თემას გაზეთმა „სანმა“ მიუძღვნა წერილი, სადაც რედაქციის აზრით ათი საუკეთესო ინგლისელი კაპიტანია ჩამოწერილი. გთავაზობთ სანელთა ვერსიას.

10 ჰოლ ინსი

ეს უშეცდომო ნახევამცველი გახლდათ პირველი შავკანიანი, რომელმაც ინგლისის ნაკრების კაპიტნის სამკლავური გაიკეთა. პირველად ეს 1993 წელს აშშ-ის ნაკრების წინააღმდეგ შეხვედრაში მოხდა. მართალია ინსმა ინგლისს მხოლოდ შვიდ შეხვედრაში უკაპიტნა, მაგრამ „სანის“ თანამშრომელთა აზრით, თითოეული ამ თამაშთაგანი განსაკუთრებული შთაგონებით გამოირჩეოდა. მათ შორის იყო ისეთი შეხვედრაც, სადაც კაპიტანმა თავი დაიზიანა, მაგრამ მოედნიდან არ გასულა, ჭრილობა შეიხვია და თამაში განაგრძო.

9 პეტერ ტიგანი

„მიკი მაუსს“ ხმის ამაღლება და სიმართლის თქმა არასდროს მორიდებია. სულ კიგანმა 31 შეხვედრაში უკაპიტნა ინგლისის ნაკრებს. მათ შორის იყო 1980 წლის ევროპის ჩემპიონატის თამაშები, როდესაც კიგანსა და მის მეგობრებს სულ ცოტა დააკლდათ რათა ჯგუფიდან გასულიყვნენ, ჯგუფში კი მათ გარდა იყვნენ იტალია, ესპანეთი და ბელგია.

8 გარი ლინეკერი

საუცხოო თავდამსხმელმა ინგლისური სამკლავური მას მერე გაიკეთა, რაც ეროვნული გუნდი 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მწვერვალს ძალიან მიუახლოვდა. ლინეკერის ლიდერობით კი ინგლისელები 1992 წლის ევროპის პირველობაზე ჩავიდნენ, სადაც მას ბობი ჩარლტონის რეკორდის მოხსნაში შეუშალეს ხელი — შვედეთთან შეხვედრაში რომ არ შეეცვალათ, ვინძლო, 49 გოლიანი რუბიკონიც გადაელახა და არც ინგლისის ნაკრები გავარდნილიყო შეჯიბრებიდან ასე მალე.

7 ჯონ ჰეიენსი

ჰეიენსზე თვით პელემ თქვა, მისი დარი პასები არასდროს მინახავსო. ის ინგლისის ნაკრებს 22 შეხვედრაში გაუძღვა მოედანზე. ამ შეხვედრებს შორის იყო ლეგენდარული თამაში „უემბლიზე“ შოტლანდიის წინააღმდეგ, რომელიც ინგლისელებმა 9:2 მოიგეს. ჰეიენსი გახლდათ ინგლისელთა კაპიტანი 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზეც, სადაც ბრიტანელები მეოთხედფინალში გავიდნენ და იქ ბრაზილიელებთან დამარცხდნენ.

6 ტონი ადამსი

„არსენალის“ ლეგენდა ინგლისის ნაკრებს პირველად „უემბლიზე“, 1994 წელს, რუმინეთის ნაკრების წინააღმდეგ გაუძღვა. მასვე ეკეთა სამკლავური 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზეც. იმ შეჯიბრის შემდეგ ადამსმა აღიარა, რომ ლოთია და სამკლავური ალან შირერს გადააბარა.

5 დევიდ ბექემი

გნებავთ გიყვარდეთ და გნებავთ გძულდეთ, „სანის“ ღრმა რწმენით ეს „ოქროს ბიჭუნა“ ინგლისური ფეხბურთის ლეგენდაა. 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე არგენტინის ნაკრებთან შეხვედრაში დიეგო სიმეონესთვის წიხლის მოქნევისა და გაძევების შემდეგ ბექემის სანაკრებო მომავალი დიდი ეჭვის ქვეშ დადგა, მაგრამ შეუპოვარმა ახლგაზრდამ თავისას მაინც მიაღწია და 58 შეხვედრაში უკაპიტნა გუნდს.

4 ალან შირერი

ნამდვილი გამანადგურებელი ინგლისის ნაკრების ნამდვილი ლიდერი გახლდათ. მან ნაკრების სამკლავური 1996 წელს, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ჩაიბარა და კაპიტნის რანგში ჩაატარა 1998 წლის მსოფლიოსა და 2000 წლის ევროპის პირველობები. „ნიუკასლ იუნაიტედის“ ლეგენდა დიდი კაპიტნის ყველა თვისებით გახლდათ დაჯილდოვებული. ის იყო უტეხი, თავდადებული, და ვაუკაცური, რომელსაც, ყველაფერთან ერთად გაჰქონდა და გაჰქონდა გოლები.

3 ბრაიან რობსონი

ის ფაქტი, რომ რობსონს „კაპიტანი მარველი“ შეარქვეს, თავისთავად მეტყველებს ფეხბურთელზე — კაპიტანი მარველი 1939 წელს შექმნილი კომიქსების გმირი გახლავთ, სუპერმენის, ბეტმენის, სპიდერმენისა და მსგავსი „მენების“ წინაპარი. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველი ნა-ჯერ გაუძღვა ინგლისის ნაკრებს. მათ შორის იყო ევროპის 1988 წლის ჩემპიონატი და ორი მუნდიალი, 1986 და 1990 წლებისა. ბრაიან რობსონის კარიერა ტრავმებს რომ არ შეეწყვიტა, ის ალბათ კიდევ უფრო ბევრ შეხვედრაში უკაპიტნებდა საშობლოს გუნდს.

2 ბილი რაიტი

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია — რაიტმა ინგლისის ნაკრებს 90-ჯერ უკაპიტნა. „კულტურჰემტონის“ ლეგენდის ტოლი შედეგი აქვს ბობი მურსაც. კიდევ, იგი გახლდათ ერთი იმ პირველი ტრიოდან, რომელმაც ნაკრებში 100 თამაშზე მეტი ჩაატარა. რაიტის კაპიტნობით ინგლისის ეროვნულმა გუნდმა მსოფლიოს სამი ჩემპიონატი ჩაატარა: 1950, 1954 და 1958. ის იყო ნამდვილი ჯენტლმენი, რომელიც ამხელა კარიერის განმავლობაში არასდროს გაუჯერხილებიათ ან გაუძევებიათ მოედნიდან.

1 ბობი მური

პირველ ადგილზე სხვა ვერავინ იქნებოდა. ნებისმიერი თაობის ინგლისელი ფანებისთვის უდიდესი კაპიტანი, რომელმაც 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის შემდეგ ჟიულ რიმეს თასი აღმართა, ერთადერთია — ბობი მური.

პაპუნა კვედია



1062 და ეს ზღვარი სულაც არ არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ რომელიმე ჯლუბის თავგადაჯლული ფანი ხართ და ჯამაგირიც ხელს გიწყობთ საყვარელი ჯლუბის სიმბოლიჯიანი ამუნიციის თუ სუვენირების შესაძენად, ლონიერი ჯლუბები გულს არ დაგწყვეტენ. იმდენ რამეს შემოგთავაზებენ, ყველაფერი რომ იყიდოთ, ჯიბის დაცარიელება არ აგცდებათ.

მოდი ვნახოთ, რამდენი დაგიჯდებათ, მაგალითად, „მანჩესტერ იუნაიტედის" ფანობა. ოლონდ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჩამონათვალი არასრულია. ბილეთები, პროგრამები, ჯონჯრეტული მატჩებისთვის დამზადებული სუვენირები, თუნდაც ჯათხა ლუდი, რომელსაც სტადიონის ბუფეტში დალევთ – ეს, რა თქმა უნდა, ცალჯე ფული ლირს. ფასები ჯი გირვანქა სტერლინგებშია მოცემული



მისალოცი ბარათი
£ 5

სასაჩუქრე წინდა
£ 6



ფოტოაპარატი
£ 4



სავარჯიშო მაისურა
£ 22

საწვიმარი ფორმა
£ 65


პულოვერი
£ 35

გეტრები
£ 10

კეპი
£ 12


ბუცები
£ 120


მანჟეტის საკინძი
£ 10


ბურთი
£ 20



ყოველწლიური ცნობარი
£ 7


ზურგჩანთა
£ 20



საშ. სახელობითი მაისურა
£ 52

ბეჭედი
£ 100


მაჯის საათი
£ 120



ბრელოკი
£ 2



კარის აბრა
£ 10


საშინაო ტრუსი
£ 32

თმის საკრავი
£ 4



კედლის საათი
£ 10

მაღვიძარა
£ 4



საწოლის გადასაფარებელი
£ 25

ყელსახვევი
£ 8

ვიმპელი
£ 7

ბლოკნოტი
£ 6

ჩემოდანი
£ 90



კალენდარი
£ 9



სანტა კლაუსის ქუდი
£ 4



ჩ. ლიგის საგარეო მაისურა
£ 52

საშინაო მაისურა
£ 52

საგარეო ტრუსი
£ 32



ჩ. ლიგის საშინაო მაისურა
£ 52

შედეგების წიგნი
£ 20



საფულე
£ 10

ჭიქა
£ 25

სარბიელი: კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		9 თებერვალი						
16:45	3	ასტონ ვილა-ნიუკასლი	1.80	3.30	4.55	1.16	1.28	1.91
19:00	4	ბოლტონი-პორტსმუთი	2.45	3.20	2.75	1.38	1.29	1.47
19:00	6	დერბი-ტოტენჰემი	5.20	3.60	1.60	2.12	1.22	1.10
19:00	7	დერბი-ტოტენჰემი 1:0	2.25	3.40	2.40			
19:00	8	ევერტონი-რედინგი	1.50	3.70	6.30	1.06	1.21	2.33
19:00	9	ევერტონი-რედინგი 0:1	2.35	3.40	2.30			
19:00	12	მიდლსბრო-ფულემი	1.90	3.20	4.00	1.19	1.28	1.77
19:00	13	სანდერლენდი-უიგანი	2.10	3.20	3.30	1.26	1.28	1.62
19:00	14	ვესტ ჰემი-ბირმინგემი	1.80	3.30	4.30	1.16	1.26	1.86
		10 თებერვალი						
20:00	5	ჩელსი-ლივერპული	2.05	3.20	3.55	1.24	1.29	1.68
17:30	10	მანჩესტერი-სიტი	1.30	4.60	9.50	1.01	1.14	3.09
17:30	11	მანჩესტერი-სიტი 0:1	1.75	3.60	3.30			
		11 თებერვალი						
23:45	1	არსენალი-ბლეკბერნი	1.30	4.50	10.00	1.00	1.15	3.10
23:45	2	არსენალი-ბლეკბერნი 0:1	1.85	3.50	3.10			
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		8 თებერვალი						
23:45	21	ჩარლტონი-კრისტალ პალასი	2.30	3.20	2.85	1.33	1.27	1.50
		9 თებერვალი						
19:00	15	საუთჰემპტონი-ჭარ	2.15	3.30	2.90	1.30	1.23	1.54
19:00	16	ბარნსლი-ვესტ ბრომვიჩი	3.00	3.20	2.15	1.54	1.25	1.28
19:00	17	ვულვერჰემპტონი-სტოკი	2.15	3.30	2.90	1.30	1.23	1.54
19:00	18	ბრისტოლი-უენსდი	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90
19:00	19	ბარნლი-კოლჩესტერი	1.75	3.30	4.50	1.14	1.25	1.90
16:00	20	კარდიფი-ნორვიჩი	1.95	3.20	3.60	1.21	1.26	1.69
19:00	22	პალი-ბლეკპული	1.75	3.30	4.50	1.14	1.25	1.90
19:00	23	იფსვიჩი-უოტფორდი	2.35	3.20	2.70	1.35	1.25	1.46
21:20	24	ლესტერი-პლიმუთი	2.20	3.30	2.90	1.31	1.25	1.54
19:00	25	პრესტონი-ქოვენთრი	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
19:00	26	შეფილდი-სანთორპი	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90
		ინგლისი. I ლიგა						
		9 თებერვალი						
19:00	27	ნოტინგემი-მილუოლი	1.60	3.50	5.20	1.09	1.22	2.09
19:00	28	ოლდჰემი-ჯილინგემი	1.80	3.30	4.15	1.16	1.25	1.83
19:00	29	პორტ ვეილი-კარლაილი	3.50	3.30	1.90	1.69	1.23	1.20
19:00	30	საუთენდი-პარტლპული	1.65	3.40	4.70	1.11	1.22	1.97
19:00	31	ტრანმერი-ლეიტონი	1.80	3.30	3.90	1.16	1.23	1.78
19:00	32	ჩელტენემი-ბრაიტონი	2.20	3.30	2.85	1.32	1.24	1.52
19:00	33	უოლსოლი-იოვილი	1.70	3.30	4.40	1.12	1.22	1.88
19:00	34	ქრიუ-სუონსი	4.10	3.30	1.80	1.82	1.25	1.16
19:00	35	დონკასტერი-როვერსი	1.65	3.40	4.50	1.11	1.20	1.93
19:00	36	ჰადერსფილდი-სუინდონი	2.00	3.30	3.20	1.24	1.23	1.62
19:00	37	ლუტონი-ბორნმუთი	2.10	3.30	3.00	1.28	1.23	1.57
19:00	38	ნორთჰემპტონი-ლიდსი	2.70	3.30	2.30	1.48	1.24	1.35
		ინგლისი. II ლიგა						
		9 თებერვალი						
19:00	39	მორიკომბი-მაკლსფილდი	1.70	3.30	4.70	1.12	1.24	1.93
19:00	40	პიტერბრო-რექსემი	1.60	3.50	5.30	1.09	1.22	2.10
19:00	41	სტოკპორტი-ნოტსი	1.70	3.40	4.70	1.13	1.24	1.97
19:00	42	ბრედფორდი-ბერი	1.80	3.30	4.30	1.16	1.26	1.86
19:00	43	უიკომბი-მენსფილდი	1.60	3.60	5.00	1.10	1.21	2.09
19:00	44	ბრენტფორდი-შრიუსბერი	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
19:00	45	ჩესტერი-აკრინგტონი	2.00	3.20	3.50	1.23	1.27	1.67
19:00	46	დარლინგტონი-ბარნეტი	1.55	3.50	6.00	1.07	1.23	2.21
19:00	47	გრიმსბი-ჩესტერფილდი	2.40	3.20	2.70	1.37	1.27	1.46
19:00	48	პერეფორდი-დაგ ენდ რედი	1.50	3.50	6.50	1.04	1.21	2.27
19:00	49	ლინკოლნი-როჩდეილი	3.10	3.20	2.15	1.57	1.26	1.28
19:00	50	დონსი-როტერჰემი	1.85	3.30	4.00	1.18	1.26	1.80
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		9 თებერვალი						
16:30	101	დანდი იუნაიტედი-ჰიბერნიანი	1.90	3.25	3.50	1.19	1.23	1.68
19:00	102	პართი-გრეტნა	1.45	3.70	6.20	1.04	1.17	2.31
19:00	103	მოზერუელი-კილმარნოკი	1.65	3.40	4.70	1.11	1.22	1.97
19:00	104	რეინჯერსი-ფოლკირკი	1.20	5.00	12.00	1.00	1.09	3.52
19:00	105	რეინჯერსი-ფოლკირკი 0:1	1.65	3.40	3.80			
19:00	106	სტ.მირენი-ინვერნესი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
		10 თებერვალი						
18:00	100	აბერდინი-სელტიკი	5.30	3.60	1.55	2.14	1.19	1.08
		შოტლანდია. I დივიზიონი						
		9 თებერვალი						
19:00	107	ჰამილტონი-დანფერმლაინი	1.85	3.40	3.50	1.19	1.21	1.72
19:00	108	ლივინგსტონი-დანდი	2.60	3.40	2.30	1.47	1.22	1.37
19:00	109	მორტონი-კლაიდი	2.10	3.40	2.85	1.29	1.20	1.55
19:00	110	ქუინი-სტ.ჯონსტონი	2.55	3.40	2.35	1.45	1.22	1.38
19:00	111	სტირლინგი-პარტიკი	2.70	3.40	2.25	1.50	1.22	1.35
		შოტლანდია. II დივიზიონი						
		9 თებერვალი						
19:00	112	ეარი-პიტერჰედი	2.10	3.40	2.85	1.29	1.20	1.55
19:00	113	ბრეჩინი-რეითი	2.70	3.40	2.20	1.50	1.21	1.33
19:00	114	კოუდენბითი-არბროთი	3.70	3.40	1.80	1.77	1.21	1.17
19:00	115	ქუინზ პარკი-ბერიკი	1.65	3.50	4.45	1.12	1.20	1.95
19:00	116	როსი-ალოა	1.50	3.70	5.50	1.06	1.17	2.21
		შოტლანდია. III დივიზიონი						
		9 თებერვალი						
19:00	117	ალბიონი-ფორფარი	1.75	3.50	3.70	1.16	1.18	1.79
19:00	118	ისტ ფაიფი-სტენჰაუსმური	1.40	4.10	6.00	1.04	1.13	2.43
19:00	119	ისტ სტირლინგი-არბროთი	2.70	3.40	2.20	1.50	1.21	1.33
19:00	120	მონტროზი-დამბარტონი	1.55	3.70	5.00	1.09	1.18	2.12
19:00	121	სტრანრარი-ელგინი	1.75	3.50	4.00	1.16	1.21	1.86
		გერმანია. I ბუნდესლიგა						
		8 თებერვალი						
23:30	125	აინტრახტი-არმინია	1.75	3.30	4.75	1.14	1.27	1.94
		9 თებერვალი						
18:30	123	ლევერკუზენი-ჰამბურგი	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
18:30	124	შტუტგარტი-ჰერტა	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
18:30	126	ბოხუმი-კოტბუსი	1.85	3.30	4.00	1.18	1.26	1.80
18:30	127	პანოვერი-კარლსრუე	1.90	3.20	4.00	1.19	1.28	1.77
18:30	128	ნიურნბერგი-პანზა	1.70	3.40	4.65	1.13	1.24	1.96
18:30	129	ვოლფსბურგი-დუისბურგი	1.60	3.40	5.30	1.08	1.22	2.07
		10 თებერვალი						
20:00	122	ბაიერნი-ვერდერი	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
20:00	130	დორტმუნდი-შალკე	2.55	3.20	2.55	1.41	1.27	1.41
		გერმანია. II ბუნდესლიგა						
		8 თებერვალი						
21:00	133	ლაუტერნი-მიუნხენი 1860	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
21:00	136	ზტ.პაული-კარლ ცაისი	1.80	3.20	4.00	1.15	1.24	1.77
21:00	137	აუე-ოფენბახი	1.90	3.20	3.50	1.19	1.23	1.67
		10 თებერვალი						
17:00	131	პადერბორნი-ფრაიბურგი	3.00	3.20	2.10	1.54	1.23	1.26
17:00	132	მაინცი-ფიურტი	1.85	3.20	3.80	1.17	1.24	1.73
17:00	135	აუგსბურგი-კობლენცი	1.85	3.20	3.80	1.17	1.24	1.73
17:00	138	ოსნაბრიუკი-ვეენი	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
17:00	139	ჰოფენჰაიმი-მიონხენგლადბახი	2.55	3.20	2.45	1.41	1.24	1.38
		11 თებერვალი						
23:45	134	ალემანია-კიოლნი	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
		შვეიცარია. სუპერლიგა						
		9 თებერვალი						
20:45	310	ბაზელი-ქსამაქსი	1.30	4.30	10.00	1.00	1.15	3.00
20:45	311	სტ.გალენი-ციურიხი	3.70	3.30	1.85	1.74	1.23	1.18
		10 თებერვალი						
19:00	312	გრასჰოპერი-იანგ ბოიზი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
19:00	313	ლუცერნი-აარაუ	2.25	3.10	3.00	1.30	1.28	1.52
19:00	314	თუნი-სიონი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
		იტალია. სერია A						
		9 თებერვალი						
23:30	147	რომა-რეჯინა	1.20	5.70	13.00	1.00	1.09	3.96
23:30	148	რომა-რეჯინა 0:1	1.55	3.60	4.10			
21:00	151	ატალანტა-ფიორენტინა	3.10	2.90	2.30	1.49	1.32	1.28
		10 თებერვალი						
23:30	140	კატანია-ინტერი	6.00	3.40	1.60	2.17	1.26	1.08
23:30	141	კატანია-ინტერი 1:0	2.25	3.20	2.50			
18:00	142	უდინეზე-იუვენტუსი	3.10	3.00	2.30	1.52	1.32	1.30
18:00	143	ემპოლი-ლაციო	2.80	3.00	2.55	1.44	1.33	1.37
18:00	144	სამპდორია-ნაპოლი	1.80	3.00	4.55	1.12	1.28	1.80
18:00	145	ტორინო-პალერმო	2.40	3.20	2.80	1.37	1.29	1.49
18:00	146	კალიარი-პარმა	2.30	2.90	3.20	1.28	1.33	1.52
18:00	149	მილანი-სიენა	1.30	4.20	11.00	1.00	1.16	3.03
18:00	150	მილანი-სიენა 0:1	1.80	3.40	3.30			
18:00	152	ლივორნო-ჯენოა	2.25	2.90	3.35	1.26	1.34	1.55
		იტალია. სერია B						
		9 თებერვალი						
19:00	153	კიევო-ტრევზო	1.35	3.60	9.50	1.00	1.18	2.61
19:00	154	ლეჩე-ტრიესტინა	1.45	3.30	8.00	1.00	1.22	2.33
19:00	155	გროსეტო-ალბინოლეფე	2.50	2.80	2.80	1.32	1.32	1.39
19:00	156	რიმინი-ასკოლი	1.95	2.80	4.10	1.14	1.32	1.66
19:00	157	ვიჩენცა-ბარი	2.00	2.80	3.80	1.16	1.31	1.61
19:00	158	რავენა-ბოლონია	4.50	2.90	1.80	1.76	1.28	1.11
19:00	159	პიაჩენცა-ბრეშა	3.00	2.70	2.40	1.42	1.33	1.27
19:00	160	პიზა-ჩეზენა	1.40	3.50	8.40	1.00	1.20	2.47
19:00	161	აველინო-ფროზინონე	2.15	2.80	3.40	1.21	1.31	1.53
19:00	162	მეხინა-მანტოვა	2.30	2.80	3.10	1.26	1.32	1.47
19:00	163	სპეცია-მოდენა	2.60	2.70	2.80	1.32	1.34	1.37
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		9 თებერვალი						
23:00	185	მურსია-ვილიარეალი	2.90	3.20	2.25	1.52	1.26	1.32
23:00	191	დეპორტივო-ხეტაფე	2.45	3.10	2.70	1.36	1.28	1.44
23:45	193	სევილია-ბარსელონა	2.60	3.10	2.50	1.41	1.27	1.38
		10 თებერვალი						
20:00	182	ოსასუნა-სარაგოსა	2.30	3.10	2.85	1.32	1.27	1.48
20:00	183	ბილბაო-ლევანტე	1.65	3.40	4.70	1.11	1.22	1.97
20:00	184	რასინგი-ატლეტიკო	2.30	3.20	2.85	1.33	1.27	1.50
20:00	187	მალიორკა-ალმერია	2.05	3.10	3.40	1.23	1.27	1.62
22:00	188	რეალი-ვალიადოლიდი	1.30	4.50	10.00	1.00	1.15	3.10
22:00	189	რეალი-ვალიადოლიდი 0:1	1.70	3.50	3.40			
23:45	190	ვალენსია-ბეტისი	1.75	3.30	4.50	1.14	1.25	1.90
20:00	192	ესპანიოლი-უელვა	1.55	3.40	6.50	1.06	1.25	2.23
		ესპანეთი. II დივიზიონი						
		9 თებერვალი						
22:30	198	ალავესი-სევილია ბ	2.35	2.90	3.00	1.29	1.31	1.47
22:30	199	კორდობა-მალაგა	2.80	2.90	2.45	1.42	1.30	1.32
22:30	200	კასტელონი-ტარაგონა	1.85	2.90	4.30	1.12	1.29	1.73
21:30	203	ლას პალმასი-ფეროლი	1.85	2.90	4.40	1.12	1.30	1.74
		10 თებერვალი						
20:00	195	ალბასეტე-პერეუელესი	2.30	2.90	3.00	1.28	1.30	1.47
20:00	196	ტენერიფე-გრანადა	2.20	2.90	3.25	1.25	1.31	1.53
20:00	197	სალამანკა-კადისი	2.30	2.90	3.10	1.28	1.32	1.49
20:00	201	ეიბარი-სელტა	2.60	2.90	2.70	1.37	1.32	1.39
20:00	202	ეხიდო-ხოსიედადი	3.00	2.90	2.35	1.47	1.31	1.29
15:00	204	ელჩე-სპორტინგი	2.30	2.90	3.00	1.28	1.30	1.47
20:00	205	სერესი-ნუმანსია	3.20	2.90	2.25	1.52	1.32	1.26
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		9 თებერვალი						
23:00	206	რენი-ოსერი	1.90	3.00	3.80	1.16	1.26	1.67
18:00	207	პსჟ-ლე მანი	1.75	3.00	4.60	1.10	1.26	1.81
23:00	209	მონაკო-ლილი	1.90	3.00	4.00	1.16	1.28	1.71
23:00	210	ვალენსიენი-ლორიანი	2.10	3.00	3.30	1.23	1.28	1.57
23:00	212	ბორდო-მეცი	1.30	4.30	8.40	1.00	1.12	2.84
23:00	213	ბორდო-მეცი 0:1	1.95	3.40	2.90			
23:00	214	სტრასბური-სტ.ეტიენი	2.10	2.90	3.40	1.21	1.29	1.56
23:00	215	ლიონი-სოშო	1.30	4.30	8.40	1.00	1.12	2.84
23:00	216	ლიონი-სოშო 0:1	1.95	3.40	2.90			
23:00	217	ნანსი-ტულუზი	1.80	3.10	4.50	1.13	1.28	1.83
23:00	218	ნანსი-ტულუზი 0:1	3.00	3.20	1.85			
		10 თებერვალი						
21:00	208	კაენი-ლანსი	2.15	3.00	3.20	1.25	1.28	1.54
23:45	211	ნიცა-მარსელი	2.50	2.80	2.80	1.32	1.32	1.39
		საფრანგეთი. II დივიზიონი						
		8 თებერვალი						
23:00	219	ბასტია-ტრუა	2.25	2.90	3.10	1.26	1.30	1.49
23:00	220	სედანი-აიაჩო	2.05	2.90	3.50	1.20	1.29	1.58
23:00	221	ანჟე-ბულონი	1.80	2.90	4.50	1.11	1.28	1.76
23:00	222	შატორუ-დიეონი	2.10	2.80	3.50	1.20	1.31	1.55
23:30	223	ლე ავრი-გრენობლი	1.80	2.90	4.50	1.11	1.28	1.76
23:00	224	რეიმსი-გენიონი	1.70	3.20	4.70	1.11	1.24	1.90
23:00	225	ამიენი-გენგამი	2.30	2.90	3.00	1.28	1.30	1.47
23:00	226	კლერმანი-ლიბურნი	1.50	3.50	6.20	1.04	1.20	2.23
23:00	228	მონპელიე-ნიორი	1.65	3.20	4.70	1.08	1.22	1.90
		11 თებერვალი						
23:30	227	ბრესტი-ნანტი	3.00	2.80	2.35	1.44	1.31	1.27
		ბელგია. I დივიზიონი						
		9 თებერვალი						
23:00	229	ბრიუგე-მეხელენი	1.20	5.20	9.50	1.00	1.06	3.36
23:00	231	დენდერი-სერკლი	4.00	3.40	1.75	1.83	1.21	1.15
23:00	232	ბრიუსელი-ანდერლეხტი	5.00	3.50	1.55	2.05	1.18	1.07
23:00	234	ლოკერენი-მონსი	1.55	3.50	5.00	1.07	1.18	2.05
23:00	236	მუსკრონი-ვესტერლო	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
23:00	237	სტანდარდი-რუზელარე	1.18	5.50	10.50	1.00	1.06	3.60
23:00	240	შარლეროა-სტ.ტრუიდენი	1.65	3.50	4.20	1.12	1.18	1.90
		10 თებერვალი						
23:30	233	გენკი-ბეერსხოტი	1.90	3.20	3.50	1.19	1.23	1.67
21:00	239	ვარეგემი-გენტი	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		8 თებერვალი						
23:30	248	ტვენტე-პერეკლეზი	1.30	4.40	10.00	1.00	1.15	3.05
		9 თებერვალი						
22:30	250	პსვ-ჰერენვენი	1.60	3.30	5.50	1.07	1.23	2.06
23:00	251	გრაფსხაპი-ფეიენოორდი	4.30	3.40	1.70	1.89	1.21	1.13
23:00	253	ვიტესი-გრონინგენი	2.40	3.30	2.60	1.38	1.24	1.45
		10 თებერვალი						
17:30	255	ნაიმეგენი-ალკმაარი	2.80	3.40	2.20	1.53	1.23	1.33
15:30	256	როდა-აიაქსი	3.70	3.30	1.90	1.74	1.25	1.20
15:30	258	ვენლო-ტილბურგი	2.45	3.40	2.55	1.42	1.24	1.45
		ჰოლანდია. II დივიზიონი						
		8 თებერვალი						
23:00	259	ვეენდამი-ომნიფორლდი	1.70	3.40	4.15	1.13	1.20	1.86
23:00	260	კამბური-ოსი	2.40	3.20	2.65	1.37	1.25	1.44
23:00	261	ვოლენდამი-მაასტრიხტი	1.90	3.30	3.45	1.20	1.22	1.68
23:00	262	დორდრეხტი-ეინდჰოვენი	1.45	3.70	6.50	1.04	1.18	2.35
23:00	263	პელმონდი-აპელდორნი	1.55	3.50	5.20	1.07	1.19	2.09
23:00	264	დენ ბოსხი-ვალვაიკი	2.55	3.20	2.45	1.41	1.24	1.38
23:00	265	სიტარდი-ემენი	2.50	3.20	2.55	1.40	1.26	1.41
23:00	266	დენ ჰაგი-ტელსტარი	1.65	3.40	4.55	1.11	1.21	1.94
23:00	267	როზენდალი-ჰაარლემი	1.45	3.70	6.70	1.04	1.19	2.38
		10 თებერვალი						
15:30	268	ზვოლე-იგლზი	1.90	3.40	3.40	1.21	1.21	1.70
		საბერძნეთი						
		9 თებერვალი						
18:45	269	ლარისა-აეკ	4.20	3.20	1.75	1.81	1.23	1.13
21:00	270	პანათინაიკოსი-ვერიოია	1.10	7.40	14.00	1.00	1.01	4.84
21:00	272	ირაკლისი-ატრომიტოსი	2.10	2.90	3.40	1.21	1.29	1.56
		10 თებერვალი						
17:00	274	ერგოტელისი-კალამარია	2.10	3.00	3.40	1.23	1.29	1.59
17:00	275	ქსანთი-ლევადეიაკოსი	1.50	3.50	6.00	1.04	1.20	2.21
18:45	276	პაოკ-არისი	2.40	2.90	2.80	1.31	1.29	1.42
21:00	277	ატერას ტრიპოლისი-ოფი	1.70	3.20	4.50	1.11	1.23	1.87
21:00	279	პანიონიოსი-ოლიმპიაკოსი	4.20	3.20	1.75	1.81	1.23	1.13
		აფრიკის თასი 2008						
		7 თებერვალი						
21:00	398	განა-კამერუნი	1.90	3.20	3.80	1.19	1.26	1.73
21:00	399	კოტ დიუარი-ეგვიპტე	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
		ფინეთი. თასი						
		7 თებერვალი						
21:00	466	მარიეჰამნი-იარო	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
		ლიბერტადორესის თასი						
		7 თებერვალი						
23:45	464	მონტევიდეო-სიენხიანო	1.90	3.20	3.65	1.19	1.24	1.70

შესაძლო ცვლილებები დაზუსტეთ ადგილზე

საქართველოს ჩემპიონატი სუპერლიგა. XIV ტური

6 თებერვალი. ვერის ბაღი

ენერჯი-ინვესტი 97:68 დინამო
21:22 21:17 29:13 26:16

ენერჯი-ინვესტი: ჩიტაშვილი, ბოისა (2), ლეფავა (21), სტეფანოვი (16), ბაბიაშვილი (19); დიდია (14), გოგობერიშვილი (14), ჭოჭუა (9), ტუჯანი (3), ლიპარტელიანი (2), მაჭავარიანი, დვალიშვილი
დინამო: ელენტი (8), გულისაბედაშვილი (8), ლაფანაშვილი (16), მაისურაძე (5), ათანელაშვილი (16); სიგუა (5), წერეთელი (5), ნანიტაშვილი (5), ფაიქრიძე
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: როლანდ ხომერიკი

ავიამშენი 79:77 ვითა
17:18 18:13 27:20 17:26

ავიამშენი: ტულუში (19), ნიკოლაძე (21), ხოშტარია (12), მინაშვილი (14), მათიაშვილი (13 ქულა, 19 მოხსნა); იმნაძე, კვიმსაძე
ვითა: მარხვაშვილი (15), მარკოიშვილი (11), მ. ბერიშვილი (12), ბეჟანიშვილი (2), ბერძენიშვილი (18); წივწივაძე (10), გვიმრაძე (4), ნ. ნოზაძე (4), ძიძიგური (1)
მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით არეშიძე
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

თსუ 99:89 მაკაბი
35:23 28:23 20:20 16:23

თსუ: დ. ბერიშვილი (14), ფანჩულიძე (21), ხეცურიანი (19), ბარბაქაძე (18), ყველაშვილი (10); ტყეშელაშვილი (6), არწივიძე (6), კოხრეიძე (3), კეიდია (2), ბ. ნოზაძე
მაკაბი: ი. ბერიშვილი (8), სორდია (11), კორკოტაძე (9), ს. შერმადინი (10), გ. შერმადინი (36 ქულა, 22 მოხსნა); ვაშაკიძე (11), კოლუაშვილი (4), პირველაშვილი, ჯიქია
მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ხათუნა გაბედავა
კომისარი: მურმან ქურიძე

ჭაჭა და ხელთათმანები

დავით ბერიშვილმა შინიდან ისროლა



დავით ბერიშვილი

გუშინდელი ტურის ცენტრალური მატჩის დიდ შესვენებაზე „ავიამშენის“ კაპიტანი ირაკლი ხოშტარია მსაჯთა მაგიდასთან მივიდა და სტასტისტიკის მთვლელ გოგონებს ჰკითხა, ხელთათმანებით თამაში თუ შეიძლებაო, თან ხელთათმანებს ხელებზე ირგებდა. მდივნებს „ხოშტარას“ სიტყვები ხუმრობა ეგონათ და სიცილი შეაგებეს, მაგრამ როცა „ავიამშენის“ კაპიტანმა მატჩის კომისართან დალაპარაკება მოითხოვა, ყველა მიხვდა, რომ სახუმარო არაფერი იყო. აღმოჩნდა, რომ წესებში არ წერია მსგავსი არაფერი, მაგრამ კომისარმა მაინც შაყირში გაატარა და კალათბურთელს უთხრა, მართლა ხელთათმანებით ხომ არ ითამაშებ, შე კაცო.

ხოშტარიამ შიშველი ხელებით განგრძო თამაში და ნამატჩევს რომ დავეკითხეთ, მართლა აპირებდი ხელთათმანებით თამაშს, თუ გაიხუმრეო, მოგვიგო, ხელები ისე მქონდა გაყინული, ვეღარ ვგრძნობდიო. მერე მტევნები ამოატრიალა და ყვითელი ხელისგულები გვაჩვენა — წყალიც არ იყო, რომ დამებანაო. საქმე ის არის, რომ ვერის ბაღის იატაკი უხარისხო საღებავითაა შეფერილი და ბურთი კალათბურთელებს ბოტკინიანივით უყვითლებდათ ხელებს.

ერთი სიტყვით, ვერის ბაღში კალათბურთი არ ითამაშება, ისე ცივა, სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ორი დღის წინ ერთ-ერთმა ქომაგმა ტრიბუნაზე ხუმრობით თქვა, ფედერაციამ თითო კაცზე 200 გრამი არაყი უნდა გამოყოს, ასეთ საყინულეში თამაშების სანახავად რომ მოვდივართო. იმ ქომაგმა გუშინ სიტყვა საქმედ აქცია და გაყინულ დარბაზში პატარა მთარით მამაპაპური ჭაჭა მოიტანა, რომელიც მისსავით შემცივნებულ მეგობრებთან ერთად დალია.

ფედერაციას წლეულს ამინდმა არ გაუმართლა. თუ აქამდე გაუთბობელ ვერის ბაღში თამაში შეიძლებოდა, წლეულს ისეთმა ყინვებმა დაიჭირა, ხალხი თამაშებზე არყით დადის, კალათბურთელები კი ითხოვენ, ხელთათმანებით თამაშის ნება დართონ.

ირაკლი ხოშტარიამ გაყინული ხელებით საფინალო სირენამდე 8 წამით ადრე უმნიშვნელოვანესი საჯარიმოები ააცილა, მაგრამ მისმა გუნდმა მაინც დაამარცხა „ვითა“. ვითელთა მწვრთნელი ზურაბ ტომარაძე ნამატჩევს აღშფოთებული იყო, მსაჯებს ედავებოდა, წამები მომპარეთო.

აი, საქმე რაში იყო: ხოშტარია საჯარიმოს ხაზზე რომ დადგა, „ავიამშენი“ 2 ქულით იგებდა, თამაშის დამთავრებამდე კი, როგორც ვთქვით, 8 წამი რჩებოდა. „ხოშტარამ“ ორივე სროლა ააცილა, ხოლო მეტოქემ რომ მოხსნა, ბურთს ხელი წაჰკრა და აუტზე გადაადგო. ეს ყველაფერი უცაბედად, ორიოდ წამში მოხდა, ტაბლო კი გვაუწყებდა, რომ სირენამდე 4 წამი იყო დარჩენილი. ტომარაძე სამსაჯო მაგიდასთან მივიდა და ახსნას ითხოვდა: გამაგებინეთ, 4 წამი რანაირად გავიდა, ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდაო.

„ვითას“ მწვრთნელს მსაჯებმა ყური არ ათხოვეს და თამაში გააგრძელეს. გიორგი მარხვაშვილმა მოედნის საკუთარ ნახევარზე მიიღო შემოტანილი ბურთი, „ავიამშენის“ სამწამიანამდე სულ უკანმოუხედავად ირბინა და ფარქვეშ ეულად მყოფმა ისე, რომ ხელს არავინ უშლიდა, სირენის თანხლებით ნასროლი ბურთი ააცილა. ახლა ამაზე გაბრაზდა ტომარაძე, მაგრამ რაღას იზამდა — შესაძლოა, მის გუნდს მართლაც მოპარეს შეტევისთვის განკუთვნილი წამები, მაგრამ დარჩენილი დრო სრულიად საკმარისი იყო მატჩის გადასარჩენად, მაგრამ...

ეს შეხვედრა თავიდანვე დაძაბული იყო. „ვითამ“ ბოლო თამაშებში პრესტიჟი გვარიანად შეილახა — აუტსაიდერებმაც კი გაჰკრეს კბილი და ტომარაძის გუნდს „ავიამშენის“ ძლევით სურდა საქმის გამოკეთება. თან ეს გუნდები ცხრილში ერთად იყვნენ და შეხვედრამაც შესაბამისი დაძაბულობით ჩაიარა.

„ავიატორები“ თავიდან ვერ იყენებდნენ სიმაღლეში უპირატესობას, ვითელთა ცენტრი დავით ბერძენიშვილი მედგრად იცავდა თავისი გუნდის ფარქვეშეთს და მეტოქეს აიძულებდა, შორიდან შეეტია. „ავიამშენს“ შორი სროლები არ მისდიოდა — პირველი ტაიმის შემდეგ ლევან მოსეშვილის შეგირდებმა 15 ცდიდან მხოლოდ 1 სამქულიანი ჩააგდეს, თუმც სწრაფი გარღვევების ხარჯზე მცირე ლიდერობას მაინც ინარჩუნებდნენ — 35:31.

არც მესამე მეოთხედში გაუტეხიათ სამქულიანების ნავსი „ავიატორებს“, თუმც ხოშტარიას, ტუღუშისა და ნიკოლაძის სწრაფი გარღვევებით ლიდერობას მაინც იმყარებდნენ. თან ფარქვეშ რიჩარდ მათიაშვილმაც დაძლია ბერძენიშვილის წინააღმდეგობა, ბურთს ბურთზე აგდებდა და მოხსნას მოხსნაზე ითვლიდა, რაც შედეგზეც აისახა — გადამწყვეტი მეოთხედის წინ „ავიამშენი“ 62:51 გალიდერდა.

ვითელები ვა-ბანკზე წავიდნენ, სამქულიანებით სცადეს ვითარების გამოსწორება და ბექა წივწივაძის მიზნის დახმარებით, რომელსაც გიორგი მარკოიშვილმაც შეაშველა ხელი, სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს — 71:72 სირენამდე 3 წუთით ადრე. თამაში ბოლო წამებამდე ასე თანაბრად გაგრძელდა და თუ რა მოხდა დასასრულს, უკვე გიამბეთ.

დანარჩენ მატჩებში შედეგების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. თუმცა ერთი ძალიან საინტერესო და იშვიათი რამ კი მოხდა: უნივერსიტეტელმა დავით ბერიშვილმა პირველი ტაიმის ბოლო წამზე ბურთი თავისი ნახევრიდან სტყორცნა და ჩააგდო. „მაკაბიმ“ კი მხოლოდ ის მოახერხა, რომ თსუ ბოლო წუთებზე ანერვიულა, თუმც მაინც უშანსოდ წააგო. ბოლო შეხვედრებში შერცხვენილმა „ენერჯი-ინვესტმა“ „დინამო“ გამოიჭირა და 29 ქულით მოუგო.

ირაკლი პერტაია

ენერჯი	14	12	2	26
თსუ	14	9	5	23
ავიამშენი	14	7	7	21
ვითა	14	5	9	19
დინამო	14	5	9	19
მაკაბი	14	4	10	18

NBA რეგულარული ჩემპიონატი

არა მხოლოდ ბრაიანტით

5 თებერვალი

ნიუ ჯერსი 90:105 ლეიკერსი

ნიუ ჯერსი: კარტერი (27), ნახბარი (19 ქულა, 10 მოხსნა), ჯეფერსონი (12), კიდი (11 ქულა, 10 მოხსნა)
ლეიკერსი: ფიშერი (28), გასოლი (24 ქულა, 12 მოხსნა), რადმანოვიჩი (16), ოდომი (14 ქულა, 15 მოხსნა)

კლივლენდი 114:113 ბოსტონი

კლივლენდი: ჯეიმსი (33 ქულა, 12 პასი, 9 მოხსნა, 5 ჩაჭრა, 2 დაფარება), ილგაუსკასი (21 ქულა, 10 მოხსნა, 5 დაფარება), ჰიუზი (18), ნიუბლი (15)
ბოსტონი: ალენი (24) რონდო (20), პარსი (19)

ინდიანა 89:116 სან ანტონიო

ინდიანა: გრეინჯერი (16), მერფი (15), დინერი (14), დანლივი (14)
სან ანტონიო: დანკანი (19 ქულა, 15 მოხსნა, 6 პასი), ვონი (16), ჯინობილი(15)

ფილადელფია 101:96 ვაშინგტონი

ფილადელფია: იგუდალა (20), იანგი (17), კერნი (16)
ვაშინგტონი: სტივენსონი (19), ჰეივუდი (18), ჯემისონი (16 ქულა, 14 მოხსნა)

მემფისი 97:102 მილუოკი

მემფისი: მილერი (32), გაი (21), მილიჩიჩი (11 ქულა, 12 მოხსნა)
მილუოკი: უილიამსი (32), ვილანუევა (16 ქულა, 16 მოხსნა), ბელი (17)

კობი ბრაიანტი ჩაფლავდა. მას ასე საშინლად შარშანდელს აქეთ არ უთამაშია. „ნიუ ჯერსისთან“ გასვლით შეხვედრაში „ლეიკერსის“ გაუსაჩივრებელმა ლიდერმა 7-ჯერ დაკარგა ბურთი, თამაშიდან 13 სროლიდან 10 ააცილა და მოედნიდან უბადრუკი 6 ქულა გაიტანა. გუნდს, რომელიც წლებია, ერთ მოთამაშეზეა ჩამოკიდებული, ამ ერთი მოთამაშის კრახი პირდაპირპროპორციულად უნდა დასტყობოდა, მაგრამ პირიქით კი მოხდა, „ლეიკერსმა“ 15 ქულით მოუგო არცთუ სუსტ მეტოქეს. საქმე ისაა, რომ „ლეიკერსი“ ამიერიდან ერთი კაცის გუნდად აღარ ჩაითვლება, რადგან „მემფისიდან“ გადაყვანილი პაუ გასოლითაც შეუძლია იტრაბახოს. ესპანელმა მეფარემ ახალი მაისურით პირველ თამაშში 24 ქულა, 12 მოხსნა და 4 პასი გააკეთა და ერთად აჯობა „ნიუ ჯერსის“ ყველა მაღალს — ჯოშ ბუნს, შონ უილიამსს და მალიქ როუზს. კობის თავისი გუნდის ახალგამომცხვარ, დროებით ლიდერზე არ უეჭვიანია, პირიქით, მიხარია, ასეთი მეფარე რომ დავიმატეთ, ახლა მივხვდი, რატომ განგვიხილავენ საჩემპიონო გუნდადო.

კიდევ ერთი საჩემპიონო გუნდი „ბოსტონი“ კი გასვლაზე დამარცხდა ლებრონ ჯეიმსის „კლივლენდთან“ ნამდვილი ჰოლივუდური თრილერის მსგავს ჯახში. თავად ლებრონმა იფრინა და მთლიანად „ბოსტონს“ გადაუფრინა — ერთი მოხსნა დააკლდა სამმაგ დუბლამდე. ესეც ვთქვათ, რომ „ბოსტონს“ კევინ გარნეტი აკლდა.

ტონი პარკერის გარეშე დარჩენილმა ჩემპიონმა „სან ანტონიომ“ კი ინდიანაპოლისში გაისეირნა და, მტერს და ბოროტს, რაც მან იქაურ „ჰეისერზს“ დააწია. მასპინძლები მხოლოდ პირველი ტაიმი ეტოლსწორებოდნენ მძლავრ მომხდურებს, მესამე მეოთხედში კი საშინლად აირივნენ, ამ პერიოდში მხოლოდ 9 ქულა შეაკოწიწეს და 27-ქულიანი წაგებით შერცხვნენ.

კოტე ყორშია

დევშაკმა მზე ისურვაო



ამბობენ, შაკილ ონილი „მაიამიდან“ „ფინიქსში“ გადადისო. ეს უკვე ჭორი არაა, გაზეთები წერენ, რომ ორ კლუბს შორის ინტენსიური მოლაპარაკება მიმდინარეობს შაკილ ონილისა და შონ მერიონის ერთმანეთში გაცვლის თაობაზე. დევშაკი ასაკშია, ტრავმებს შეუწუხებია, ხედება, რომ ვეღარ ათრევს გუნდს მარტო ან თუნდაც დუეინ ვეიდის დახმარებითაც კი და ვერ ამოიყვანს ჭაობიდან, ამიტომ აწყობილი და ჩემპიონობაზე დაგეშილი გუნდისკენ მიუწევს გული.

თავის მხრივ, „მზეებიც“ ფიქრობენ, რომ ამ მსუბუქი და ცოტა არ იყოს, ფარფატა გუნდით, ჩემპიონები ვერ გახდებიან და შაკილ ონილი, თუნდაც კარიერის დაისზე მყოფი, მეტად გააძლიერებთ და ფარქვეშ ხშირად მარტო მომეცადინე ამარე სტუდემაიერს ამოასუნთქებს.

ონილი გუშინ გეგმავდა „ფინიქსის“ საკლუბო თვითმფრინავით მაიამიდან არიზონაში ჩაფრენას. ვნახოთ, იქნებ მართლაც შეიცვალოს გუნდი. აქამდე მას სამგან — „ორლანდოში“, „ლეიკერსსა“ და „მაიამიში“ უთამაშია და ოთხჯერ მოუგია პლეი ოფის ფინალი.

კოტე ყორშია

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია
თანაუგრძნობს თბილისის „მაკაბის“ მთავარ
მწვრთნელ ჯამლეტ ხუხაშვილს დედის,
სონია ხუხაშვილის
გარდაცვალების გამო

QUARTZITE
ლიბერ
უძრავი ქონება

ევროპის ერთა თასი

საქართველო — რუმინეთი

თბილისი. 9 თებერვალი. „მიხეილ მესხი“. 16 საათი

ლეინმა სარუმინეთო ჩამოწერა

გუშინ საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ტიმ ლეინმა შეკრებაზე მყოფი 33-კაციანი შემადგენლობიდან ის 22 მორაგბე შეარჩია, შაბათს რუმინეთის ნაკრებს რომ დაუპირისპირებს. ტიმ ლეინმა საშაბათო რაზმი დანომრა კიდეც და შესაბამისად, ძირითად და სათადარიგოებად დაყო. პორტუგალიასთან მატჩის შემდეგ სარუმინეთო შემადგენლობაში ბლომად ცვლილებებია. ნაკრებს დაემატნენ და დამწყებ თხუთმეტეულში არიან დავით ზირაქაშვილი, მამუკა გორგოძე და ირაკლი გიორგაძე. სათადარიგოებიდან ძირითად რაზმში დაწინაურდნენ ოთარ ბარკალაია, ლაშა მალაღურაძე, ირაკლი ნატრიაშვილი და გიორგი ჩხაიძე. მსოფლიოს თასზე ნაყოჩაღარი და ირლანდიისთვის ულამაზესი ლელოს გამტანი გიორგი შკინინიც ძირითად შემადგენლობაში დაიწყებს თამაშს. შკინინი შეკრებაზე კი იყო, მაგრამ პორტუგალიასთან სამატჩო განაცხადშიც ვერ მოხვდა. ჩვენების სარუმინეთო შემადგენლობა კი ასეთია: *15 ოთარ ბარკალაია 14 გიორგი შკინინი 13 დავით კაჭარავა 12 ირაკლი გიორგაძე 11 ირაკლი ჩხიკვაძე 10 ლაშა მალაღურაძე 9 ირაკლი აბუსერიძე (კაპ) 8 დავით ბასილაია 7 გიორგი ჩხაიძე 6 შალვა სუთიაშვილი 5 მამუკა გორგოძე 4 კახა უჩავა 3 დავით ზირაქაშვილი 2 ირაკლი ნატრიაშვილი 1 გოდერძი შველიძე*

სათადარიგონი: 16 დავით ქუბრიაშვილი, 17 დავით დადუნაშვილი, 18 რატი ურუშაძე, 19 ზვიად მაისურაძე, 20 ბიძინა სამხარაძე, 21 მერაბ კვირიკაშვილი, 22 რევაზ გიგაური

ნაკრების ნახევარი გზა გავლილ...

ირაკლი აბუსერიძე კიდევ ბევრი კეპის დახურვას აპირებს



საქართველოს ნაკრების კაპიტნის, ირაკლი აბუსერიძისთვის საშაბათო საქართველო-რუმინეთის ჯახი საიუბილეო, 50-ე სანაკრებო მატჩი იქნება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, 30 წლის „აბუ“ რუმინეთთან სანიშანსვეტო, 50-ე კეპს მიითვლის. ქართველთაგან პირველმა, პალიკო ჯიმშელიძემ (57 მატჩი) რომ დაძლია ორმოცდაათიანელთა მიჯნა, შარშანწინ „ბარბაროსებთან“ რკენის წინ სიმბოლური, ღვინისფერი კეპი გადაეცა. აი, მსოფლიოს თასზე ვალმოხდილი მალხაზ ურჯუკაშვილი (55), ბესიკ ხამაშურიძე (53) და აქვსენტი გიორგაძე (51) კი დაუჯილდოვებლად დარჩნენ. იმედია, რუმინეთთან მატჩის წინ ტრადიცია აღსდგება და ირაკლი აბუსერიძეს ღვინისფერ კეპს არ დაამადლიან. იქამდე კი „აბუ“ სხვა მენაკრებეებთან ერთად რუმინელების დასახვედრად ემზადება. ირაკლი აბუსერიძეს გუშინ ნავარჯიშევს ვესაუბრეთ

— ნაკრებში საიუბილეო, 50-ე მატჩს ითამაშებ. ეს შენთვის დამატებითი სტიმულია?

— ეს ნიშნავს, რომ ნაკრებში ნახევარი გზა გავიარე და იმედია, „იუბილეს“ გამარჯვებით აღვნიშნავთ, რაც, ცხადია, მარტო ჩემთვის კი არა, გუნდისთვისაც დამატებითი სტიმულია. თუმც რუმინეთთან ისედაც გაათმაგებული მოტივაციით ვემზადებით.

— თქვი, რომ ნაკრებში ნახევარი გზა გაიარე. 100 კეპის მოგროვებას აპირებ?

— მაგდენს ალბათ ვერ გავქაჩავ, მაგრამ მომავალ მსოფლიოს თასზეც ვაპირებ თამაშს და იქამდე ნაკრებს თუ დავჭირდები, ყოველთვის მზად ვიქნები, ჩამოვიდე და ვითამაშო. მართალია, ოთხი წლის შემდეგ 34 წლის გავხდები, მაგრამ ეს არ არის უსაშველო ასაკი. მთავარია, ტრამბს გადაეურჩე, ვარჯიშით კი თავს არ დავზოგავ. თუ ვიგრძენი, რომ სხვისი სათრევი ვიქნები, მაშინ საერთოდ წავალ რაგბიდან.

— მომავალ მსოფლიოს თასამდე დიდი დროა. სამ დღეში კი პრინციპულ მეტოქეს, რუმინეთს ეთამაშებით...

— რუმინეთი პორტუგალიაზე საგრძნობლად ძლიერი გუნდია. მათი შედარება უხერხულიცაა. თანაც რუმინელები ჯანზე არიან და შეკინება ტრადიციულად ძლიერი ჰყავთ. პორტუგალიასთან მატჩის წინ ალალად ვთქვი, რომ ვნერვიულობდი, რადგან სამ დღეში, თანაც თოვლ-ჭყაპში ვარჯიშით და ახალი მწვრთნელით ძალიან ძნელია გუნდის შეკვრა. არ დაგვავიწყდეს, რომ ბევრი ახალბედაც გვყავს გუნდში, რომლებიც მწვრთნელმა კი არა, მეც ახლა გავიცანი. რუმინეთთან მეტი დრო გვაქვს მოსამზადებლად. ამინდიც კარგია და ვარჯიშში ხელი არ გვეშლება. არ ვამბობ, რომ საამმატჩოდ ასი პროცენტით მზად ვიქნებით, მაგრამ გუნდი რაღაც დონეზე შეთამაშებას მოასწრებს, თორემ პორტუგალიასთან შესაძლებლობების მხოლოდ სამოცი-სამოცდაათი პროცენტი გამოვავლინეთ.

— ესე იგი გამარჯვების შანსი უფრო მეტი გვაქვს?

— რუმინეთიც თითქმის ჩვენს დღეშია, მათაც ახალი სახეები ჰყავთ. თანაც თბილისში ვთამაშობთ და აქ წაგება არ შეიძლება.

— თქვი, რომ რუმინეთთან მოსამზადებლად მეტი დრო გაქვთ. ალბათ ახალი კომბინაციების ათვისებასაც მოასწრებთ...

— სწორედ ამას ვგულისხმობდი. ტიმ ლეინმა სიახლეები კი დანერგა, მაგრამ სამ დღეში იმის ნახევარიც ვერ მოვასწარით, რაც ლეინს სურდა. ახლა ხელდახელ და კომბინაციურად გაცილებით ბევრს ვითამაშებთ. თანაც მოედანი გაყინული აღარ იქნება და არც ისე ეცივება, როგორც პორტუგალიასთან.

— გუნდის კაპიტანი ხარ და მწვრთნელს და ბიჭებს შორის შუამავალი. ურთიერთობაში როგორი ტიპია ტიმ ლეინი?

— ძალიან მშვიდი და კონტაქტური ადამიანია. თუ ვარჯიშზე რამე შეგვეშლება ან მის მითითებას ვერ შევასრულებთ, არ ბრაზდება, პირიქით, დაგამშვიდებს, არა უშავს, ახლა თუ არა, მეორედ გამოგივაო, იტყვის. არ გაკომპლექსებს, რაც პირველ რიგში ახალბედებისთვის არის კარგი.

ბაჩო სვანიძე

პარასკევი პარასკევს ჩამოვა

რუმინელების გუშინდელი ვარჯიში ბუქარესტში

საქართველოში გამომგზავრებამდე რუმინეთის ნაკრები ბუქარესტშია შეკრებაზე, მთავარი მწვრთნელი მირჩა პარასკევი კი გაფართოებულ 31-კაცა შემადგენლობიდან სათბილისო 24 მორაგბეს დღეს-ხვალ შეარჩევს, სამატჩო განაცხადს კი წინა დღით ჩამოწერს.

შეგახსენებთ, რომ რუმინეთის ნაკრებმა იქამდე ერთკვირიანი შეკრება უელსში გამართა და პროვინციულ „ნოთსთან“ სპარინგ-მატჩი 0:15 წააგო. ჩვენების არ იყოს, „მუხის ფოთლებშიც“ (სტეჟარი) თაობათა ცვლა მიმდინარეობს. მსოფლიოს თასის შემდეგ გუნდი გვარიანად გადახალისდა. მირჩა პარასკევის ულეგიონერებო ნაკრების სია კი ასეთია.

შერკინება: ნოკალაე ნერუ, იონ პულიცა, მიხაიტა ლაზარი, ფლავიუს დობრე, მიხაი ადასკალიტეი, რადუ ბასალაუ, ბოგდან ზებეგა, მარსელი მიხალაკე, ვალენტინ პოპარლანი, ალინ კოსტე, ვალენტინ ურსაჩე, მიხაი მაკოვეი, სტელიან ბურსეა, დანიელ კარპი, ვასილე რუსი, კოსტიცა შერსოიუ, კოზმან რატიუ.

უკანა ხაზი: სიპრიან საპლესკუ, უილიან ანდრეი, ვალენტინ კალაფეტიანუ, დანუც დუმბროვა, იონუც დიმოფტე, დან ვლადი, ჩაბა გალი, კატალინ დასკალუ, სტეფან ჩინტუ, გეორგიტა ბიგუ, კატალინ ფერჩუ, მარინ ალექსანდრიუ, ფლორიან ვლაიკუ, მუგურელ სირბუ.

რუმინელთა 45-კაციანი დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში 24 მორაგბე იქნება, თბილისში მატჩის წინა დღეს, 8 თებერვალს ჩამოვა.

ბაჩო სვანიძე

თვალ-თვალი



ეს უზარმაზარი, 8 მეტრის სიმაღლის რაგბის ბურთი პარიზის ცენტრში იდგა წინა შემოდგომაზე, მსოფლიოს თასის დროს და, ვისაც რა უნდოდა, შეეძლო, მიეწერა.

GEORGIA DANTE საქართველო — ამ ბურთს ასეთი წარწერაც ამშვენებს, რაც ჩვენი თვალისთვის მეტად საამო რამეა.

წარწერა კი გაკეთებულია სამხატვრო აკადემიის ორი სტუდენტის, დავით სამხარაძის და ვინმე „დანტეს“ მიერ. ამ უკანასკნელის ნამდვილი გვარ-სახელი კი ვერ გავარკვიეთ.

ვახტანგ დოლიძაძეს ფოტო

ჯერ ლიცენზიები, შემდეგ მედლები

ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეებმა ბათუმში ჩატარებული საქართველოს ჩემპიონატი მოილიეს და კარს მომდგარი ოლიმპიური თამაშებისთვის გამალებით ემზადებიან. აჭარაში გამართულ ჭიდაობას, ჩემპიონებთან ერთად ის სანაკრებო კანდიდატებიც უნდა გამოევლინა, რომლებიც მომდევნო საერთაშორისო ტურნირებზე და აპრილში იტალიაში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე ქვეყნის ღირსებას დაიცავენ და ჯერაც ულიცენზიო წონებში ჩინეთის საგზურს მოგვიტანენ. ოღონდ ისიც სათქმელია, რომ ზღვისპირეთში გაშლილ ხალიჩაზე ანტიკოსთა წამყვანმა ბიჭებმა არ იჭიდავეს, რაც იმით აიხსნება, რომ ნაკრების თავკაცმა ბეგი დარჩიამ უკვე ლიცენზიამოპოვებულ დავით ბედინაძეს (60კგ), ბადრი ხასაიას (84კგ) და რამაზ ნოზაძეს (96კგ) დასვენების საშუალება მისცა. ასევე არ უჭიდავია ჯერაც ულიცენზიო, მაგრამ ტიტულიან და წამყვან მოჭიდავეს მანუჩარ კვირკველიას (74კგ). ბათუმში ჩატარებულ საქართველოს ჩემპიონატსა და სამომავლო გეგმებზე ნაკრების თავკაცი ბეგი დარჩია გვესაუბრა

— ჩემპიონატი უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული და კარგ პირობებში ჩატარდა. მოჭიდავეებს ყველა საშუალება ჰქონდათ, რომ საკუთარი შესაძლებლობები სრულად წარმოეჩინათ. ყველა წონაში ჩვენთვის კარგად ნაცნობმა ბიჭებმა იჩემპიონეს. თან ყველა გამოცდილი და ბევრის მნახველი სპორტსმენია. ერთადერთი ლაშა გოგიტიძე იყო ახალგაზრდა, თუმც ისიც ძველი სახეა და თავის ტოლებში ორგზის ევროპის პრიზიორია. ასე რომ, რაიმე სიურპრიზს ჩემპიონატში ადგილი არ ჰქონია. მთლიანობაში კი ჩემპიონატით კმაყოფილი ვარ.

— ბათუმში ნაკრების ლიდერთა უმეტესობას არ უჭიდავია. რატომ?

— გადავწყვიტეთ, რომ ამ ეტაპზე მათთვის დასვენების უფლება მიგვეცა. ეს ნაბიჯი იმიტომ უფრო გადავდგით, რომ ამ ბიჭებმა ლიცენზიები უკვე მოიპოვეს. ზოგს სულაც წონა ჰქონდა მომატებული და არ ჩავთვალეთ საჭიროდ, რომ ახლა დაეკლოთ.

— რაზე აქვთ ბიჭებს სამუშაო. აჭარულმა პირველობამ ხარვეზები თუ გამოაჩინა?

— ფიზიკური თვალსაზრისით პრობლემები ნაკლებად იყო. უფრო ტექნიკურ-ტაქტიკური წუნი დავინახეთ და ამაზე ბევრი ვარჯიში მოგვიწევს. მაგრამ ისიც გავითვალისწინოთ, რომ ჩვენთვის წლეულს ეს ტურნირი პირველი იყო და ბიჭები ჯერ სასურველი ფორმისგან შორს ამიტომაც იყვნენ. 10 თებერვლიდან ნაკრები შეკრებაზე გადადის და თვის ბოლოს, 28-29-ში უკვე უნგრეთის მსოფლიო გრან პრი ელით. იქ ჩემპიონატში გამარჯვებულებთან ერთად სხვებიც წავლენ. ეს ტურნირი სალიცენზიო არ არის, მაგრამ მაინც ძალიან მნიშვნელოვანია. რაც არ უნდა იყოს, წლეულს საზღვარგარეთ პირველად გავდივართ.

— როდის გეგმავთ ლიცენზიების მოპოვებას იმ წონებში, სადაც ჯერ არ გაქვთ?

— აპრილში ფინეთის ქალაქ ტამპერეში ევროპის ჩემპიონატი ჩატარდება და იქ პირველადგილოსნები ავტომატურად გაინაღდებენ ლიცენზიას, თუმც ფინეთში ჩინეთის საგზურის მოპოვება ძნელი იქნება. ამის გაკეთებას ჩვენ ძირითადად ევროპის ჩემპიონატის შემდგომ ორ საერთაშორისო ტურნირზე ვგეგმავთ, იტალიაში და სერბეთში, სადაც ბევრად მეტი ლიცენზია გათამაშდება. თან ვთქვათ, თუ პირველადგილოსანი უკვე ლიცენზირებულია, მაშინ ჩინეთის საგზური ავტომატურად მეორე ადგილზე გასულს ეძლევა და ასე შემდეგ...

— ოლიმპიადისთვის როგორ აპირებთ მზადებას?

— მთელი წლის გეგმა გაწერილი გვაქვს. გვინდოდა, რომ ევროპის ჩემპიონატამდე ბელარუსში გაგვევლო შეკრება ადგილობრივ ნაკრებთან ერთად, მაგრამ მათ თავად ისურვეს ქვეყნის გარეთ გასვლა და ეს აღარ გამოვიდა. თუმც უკვე ევროპირველობის მერე დაგეგმილი გვაქვს გასვლები რუმინეთსა და ესპანეთში 10 და 14 დღით, რაც მნიშვნელოვნად წაგვადგება.

— ნაკრებში უძლიერესი შემადგენლობაა თავმოყრილი. რა იქნება ის მინიმუმი, რაც ოლიმპიადაზე დაგაკმაყოფილებთ?

— გვინდა, შვიდივე წონაში ლიცენზიაც გვქონდეს და უკვე იქ სამივე სინჯის შედლისთვის ვიბრძოლოთ. თითოეულ წონაში უდიდესი კონკურენცია იქნება და ბევრი ძლიერი მოწინააღმდეგე გვეყოლის. ჩვენს ბიჭებს გამოცდილება არ აკლიათ. ახლა მთავარია, კარგად მომზადებულები შევხვდეთ ოლიმპიურ თამაშებს. მეტოქეებსაც მაქსიმალურად ვსწავლობ. მნიშვნელოვანია ასევე ფსიქოლოგიური ფაქტორი. მოჭიდავე ხალიჩაზე თავდაჯერებული უნდა გავიდეს.

ლეონიდ მაისურაძე

ხაბარელმა პარიზში რჩეულები იახლა

ალექსანდრ ფოფოვის ფოტო

დღეს საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები საფრანგეთში გაემგზავრება და უქმეებზე პარიზის მსოფლიოს სუპერთასზე მიიღებს მონაწილეობას, რომელსაც ცნობილი „ბერსის“ დარბაზი უმასპინძლებს. ნაკრების თავკაც შოთა ხაბარელს პარიზში უძლიერესი შემადგენლობა მიჰყავს — უმსუბუქეს, 60 კგ წონით კატეგორიაში ბეთქილ შუკვანი იჭიდავებს, 66 კგ-ში ქვეყნის ღირსებას ათენის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი ნესტორ ხერგიანი დაიცავს, ვინც თბილისის მსოფლიოს თასი გამოტოვა და აქედან გამომდინარე, წლეულს პირველი სერიოზული ტურნირი ელის. ხერგიანის მსგავსად, ერთი წონით მაღლა აიწია ევროპის ორგზის ჩემპიონმა ზაზა კედელაშვილმაც და ის 73 კგ-ში გამოცდის ძალებს. ამას წინათ „სარბიელთან“ ინტერვიუში, თბილისის თასის მერე, ზაზამ თქვა, წონის დაკლება უკვე ძალიან მიჭირს და ამას მხოლოდ ორჯერ, ევროპის ჩემპიონატის წინ და ოლიმპიური თამაშებისთვის გავაკეთებ, დანარჩენ ტურნირებში და უკვე ოლიმპიადის მერეც, 73 კგ-ში გამოვალო. ამ წონაში მეორე კაცი დავით კუპრაშვილი იქნება. კვლავ არ არის ამ წონის ლიდერი დავით ქევხიშვილი, ვინც თბილისის თასი ტრავმის გამო გამოტოვა და ჯერაც არაა ჯანზე.

81 კგ-ს ქართველი ქომაგი დიდი ინტერესით უყურებს, ეს ხომ ერთადერთი წონაა, რომელშიც ხაბარელის გაწვრთნილებს საპეკინო ლიცენზია ჯერაც არ მოუპოვებიათ. საფრანგეთში სალიცენზიოდ გიორგი ბაინდურაშვილი და გრიგოლ შინჯიკაშვილი გაიწევენ. თბილისის თასზე ყველაზე წინ ბაინდურაშვილი წავიდა და შესაბამისად, მეტი სარეიტინგო ქულაც დააგროვა. საერთოდაც, ქართველთაგან ამ წონაში მას საუკეთესო რეიტინგი აქვს. გიორგის შეუძლია, ჩინეთის საგზური პარიზშივე დაიბევოს.

90 კგ-ში მსოფლიოს ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე და ათენის გმირი ზურაბ ზვიადაური გამოვლენ. იოლად შეიძლება იმის თქმა, რომ სხვებზე დიდი კონკურენცია ამ წონაშია. თბილისში ზვიადაურმა ცირეკიძეს კი აჯობა, მაგრამ ჯერ ყველაფერი წინაა და ორივეს დიდი ოფლის ღვრა მოუწევს თავისი სიძლიერის დასამტკიცებლად. ამ თვალსაზრისით, პარიზის სუპერთასი უმნიშვნელოვანესია, რადგან უძლიერესი კონკურენტები იქნებიან და საერთოდაც, იქ გამარჯვება საკმაოდ პრესტიჟულია.

100 კგ-ში ლომერ ჟორჟოლიანი და ლევან რაზმაძე იჭიდავებენ. თუმც ლომერმა თბილისის ტურნირის მერე გვითხრა, შეიძლება, პარიზულ ტატამზე არ გავიდე და უკვე მერე, ერთობლივ ვარჯიშებში მივიღო მონაწილეობაო.

მძიმე წონაში ლაშა გუჯეჯიანი და ადამ ოქრუაშვილი დაეჭიდებიან სხვა გოლიათებს. ლაშამ თბილისში მშვენივრად იჭიდავა და მედლის აღებაც შეეძლო, მაგრამ ჰოლონელ ძიუდოისტთან დამარცხდა. არადა, მას შარშანწინდელ თბილისის თასზე ისე მოუგო, კინაღამ ტაბლოც დაამტვრევინა. ნატურნირევს გაირკვა, რომ ლაშა მოლად ჯანზე ვერ იყო, რადგან სიცხე ჰქონდა.

ლეონიდ მაისურაძე

მალტის თასი. ლა ვალეტა. მალტა. 4-10 თებერვალი

მალტის სამი პარტია

შონ მერფი

ის, რომ მასპინძლები, მალტელი სნუკერისტები მსოფლიოს ელიტარულ მოთამაშეებს კონკურენციას ვერ გაუწევდნენ, თავიდანვე ნათელი იყო და ასეც მოხდა — ალექს ბორგმა და ტონი დრეგომ „მალტის თასის“ გათამაშების საწყის ორ დღეში, ჯამში ოთხი შეხვედრის წაგება მოასწრეს. ოღონდაც, თუ პირველ დღეს ორივე მასპინძელმა მშრალი ანგარიშით 0:6 დათმო, მეორე დღეს მათ საერთო ძალებით სამ მოგებულ ფრეიმს მოუყარეს თავი. A ჯგუფში მოხვედრილი ბორგი ალისტერ კარტერთან 1:5 დამარცხდა, ხოლო C ჯგუფში დრეგომ 2:4 წააგო სტივ მაგუაერთან.

დავანებოთ მასპინძლებს თავი და ორი სათამაშო დღის შემდეგ ჯგუფებში ლიდერები გამოიკვეთნენ. A ჯგუფში ასეთი მსოფლიოს ჩემპიონი ჯონ ჰიგინსია, რომელმაც ბორგთან განავარდების შემდეგ რაიან დეის 4:2 მოუგო და ჯგუფის ლიდერი გახდა.

B ჯგუფში მსოფლიოს ექსჩემპიონი კენ დოჰერტი ლიდერობს. ირლანდიელმა ჰონკონგელ მარკო ფუსთან 4:2 გამარჯვების შემდეგ, ასეთივე ანგარიშით დაჯაბნა ინგლისელი სტივენ ლი და თანაც, მიმდინარე ტურნირის, ჯერჯეროობით საუკეთესო, 134-ქულიანი ბრეიკი გააკეთა. ამ ჯგუფის მეორე მატჩში ფუმ 5:1 გადაურა ჯო სვეილს.

C ჯგუფში კიდევ ერთი ექსჩემპიონი შონ მერფი დაწინაურდა. ინგლისელმა დრეგოს განადგურების შემდეგ 4:2 მოუგო იანვარში გამართული „მასტერსის“ გამარჯვებულ თანამემამულე მარკ სელბის.

რაც შეეხება D ჯგუფს, აქ მოულოდნელად, 2007-08 წლების სეზონის პირველი სარეიტინგო ტურნირის, „შანხაის მასტერსის“ უელსელი გამარჯვებული დომინიკ დეილი ლიდერობს, რომელმაც ერთნაირი, 4:2 ანგარიშით, მსოფლიოს ორი ექსჩემპიონი დაჯაბნა — შოტლანდიელი გრემ დოტი და უელსელი მარკ უილიამსი. ამ ჯგუფში გამართულ მეორე დღის მეორე მატჩში კი ჩინელი დინ ჯუნხუ და დოტი მშვიდობიანად, 3:3 დაშორდნენ ერთმანეთს.

კატერინას ბედნიერი ხანა

ქალები

პარიზი. საფრანგეთი. ჰარდი (დარბაზი). საპრიზო 600 000 დოლარი

პირველი წრე

ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) — **ვიქტორია აზარენკა** (ბელარუსი) **2:6 6:2 7:5**; **ამელი მორესმო** (6, საფრანგეთი) — **ჯულია დიტი** (აშშ) **6:1 6:2**; **დომინიკა ციბულკოვა** (სლოვაკეთი) — **კამილ პინი** (საფრანგეთი) **7:5 6:3**; **კატერინა ბონდარენკო** (უკრაინა) — **ნადია პეტროვა** (5, რუსეთი) **7:6 3:6 6:4**; **იულიანა ფედაკი** (უკრაინა) — **კარინ კნაპი** (ესტონეთი) **7:6 4:6 6:2**; **პეტრა კვიტოვა** (ჩეხეთი) — **ანაბელ მედინა-გარიგესი** (ესპანეთი) **6:2 6:3**; **აგნეს სჟავაი** (7, უნგრეთი) — **ოლგა გოვორცოვა** (ბელარუსი) **6:1 6:1**; **ტატიანა გარბინი** (იტალია) — **მეილენ ტუ** (აშშ) **6:3 6:4**; **კატარინა სრებოტნიკი** (სლოვენია) — **ემილი ლუა** (საფრანგეთი) **6:2 6:4**

კატერინა ბონდარენკოს კარიერის საუკეთესო ხანა უდგას. არაფრით გამორჩეულმა უკრაინელმა მეჩოგნემ 2008 წელი მშვენივრად დაიწყო — ჯერ იყო და, ავსტრალიის ღია პირველობაზე დასთან, ალიონასთან ერთად ჩემპიონი გახდა წყვილთა შორის, გასულ უქმეებზე კი ისევ დასთან ერთად, უკრაინას ფედერაციის თასის მატჩი მოაგებინა ბელგიასთან.

ჰოდა, ბონდარენკოს ეს წარმატებული სერია ამ კვირაშიც გრძელდება, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც — უკრაინელმა პარიზში მოქმედი ჩემპიონი და წლეულს მე-5 ნომრად განთესილი ნადია პეტროვა დაიფრინა, რითაც მეორე წრეში თანამემამულე იულიანა ფედაკთან რანდევუც გაინაღდა.

შარშან საფრანგეთის დედაქალაქში გამარჯვების შემდეგ პეტროვას საქმეები სულ უკან-უკან წავიდა. ტოპათეულის ერთ დროს უცვლელი წევრი, რომელიც თავის დროზე რეიტინგში მესამე საფეხურამდეც აღწევდა და არცთუ დიდი ხნის წინ ყველა დიდ თუ პატარა ტურნირზე ფავორიტთა შორის მოიხსენიებოდა, ბოლო ხანებია, ამაზრზენად გამოიყურება, რაც ბონდარენკოსთან შეხვედრაშიც გამოჩნდა. რუსი პირველ სეტში შეცდომას შეცდომაზე უშვებდა, რის გამოც უკრაინელი მუდმივად წინ იყო. ამის მიუხედავად, პეტროვამ ტაიბრეიკამდე მიჯახირება შეძლო, სადაც უფრო იღბლიანი ბონდარენკო გამოდგა.

მეორე სეტში მდგომარეობა შეიცვალა და რუსმა შეძლო ანგარიშის გათანაბრება. მესამე პარტიაც რუსის უპირატესობით დაიწყო და მალე 4:2 დაწინაურდა. პეტროვას კიდევ ორი ბრეიკ-პოინტიც ჰქონდა, მაგრამ ორივე სულელურად გაანიავა და ამისთვის დაისაჯა კიდეც — ბონდარენკომ ზედიზედ 4 გეიმი მოიგო და მთლიანად მატჩიც სათავისოდ დაასრულა.

„ვფიქრობ, ჩემი საუკეთესო ჩოგბურთი ვაჩვენე. მესამე სეტის დასაწყისში ძალიან დაღლილი ვიყავი, მაგრამ საიდანღაც ძალები გამოვნახე და როგორღაც მოვიგე. ისე, ცოტა გამიმართლა კიდეც“ — განაცხადა ნამატჩევს ბონდარენკომ.

ნაკლებად გაუმართლა ფედერაციის თასის კიდევ ერთ გმირ ანაბელ-მედინა გარიგესს — ესპანეთის ნახევარფინალში გამყვანი მსოფლიოს 30-ე მეჩოგნე ციდან დედამიწაზე 17 წლის ჩეხმა პეტრა კვიტოვამ დაამარცხა და პირინეელთა საუკეთესო ჩოგბურთელს მხოლოდ 5 გეიმი ააღებინა.

ადგილობრივები მაგრად გაახარა ამელი მორესმომ, რომელმაც სასტიკად გვემა კვალიფიკაციიდან მოხვედრილი ჯულია დიტი. მეტოქის სისუსტის გამო ძნელია იმსჯელო, მხარბეჭიანი ფრანგი რამდენად კარგ ფორმაშია, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ამელიმ ამერიკელს მასტერ-კლასი ჩაუტარა.

კარგად დაიწყო კიდევ ერთმა განთესილმა, 19 წლის აგნეს სჟავაიმ. უნგრელმა ოლგა გოვორცოვას გადაურბინა და ახლა ტატიანა გარბინს დაეტაკება.

ტურნირის პირველ-მეორე ნომრები — ანა ჩაკვეტაძე და დანიელა ჰანტუხოვა — მეორე წრიდან ჩაერთვებიან ბრძოლაში.

კახა ლომაუშვილი

ბლანკას სულ მაღლა და მაღლა

23 წლის ბლანკა ვლასიჩი უკვე გახლავთ მსოფლიოს ჩემპიონი და ალბათ ოლიმპიური ჩემპიონიც გახდება. ჰეკინის ოლიმპიადამდე თვეები რჩება, მაგრამ მანამდე ხორვატი სიმაღლეზე მხტომელი კიდევ ბევრ მსხვილმან და წვრილმან ტურნირს რომ რიხინრიხინით მოიგებს, ამაში ეჭვიც არავის ეპარება. ის, უდავოდ, თანამედროვეობის საუკეთესო მოსიმაღლეა ქალებში და დიდი შანსი აქვს, მიაღწიოს იმავეს, რასაც რუსმა ელენა ისინბაევამ მიაღწია ჭოკით ხტომაში, ოღონდ ამისთვის მან სტეფკა კოსტადინოვას კუთვნილი, 19 წლის წინ დამყარებული მსოფლიო რეკორდი — 209 სანტიმეტრი — უნდა გააუმჯობესოს.

მაგრამ რეკორდამდე ადრეა. ვლასიჩი ჭერქვეშ ტურნირებზე ახურებს თავის აწვართულ სხეულს და სეზონის რეკორდებს უტევს. რამდენიმე დღის წინ მან შვედურ გიოტებორგში ისკუპა 203 სანტიმეტრზე და სეზონის საყოველთაო საუკეთესო შედეგი ჩაიწერა, ოთხი დღის შემდეგ კი სლოვაკეთში ჩავიდა და ქალაქ ბანსკა ბისტრიცას საღარბაზო ტურნირში ერთი სანტიმეტრი დაამატა ამ შედეგს. მაშინ, როდესაც სხვა მოსიმაღლე ქალები 2 მეტრსაც ვეღარ იღებენ, ვლასიჩი გაიძახის, რეალურად ორი მეტრის მერე ვიწყებ საკუთარი თავის მოტივირებასო. მისი 2,04 მეტრი სეზონის რეკორდი და თან ყველა დროის მერვე შედეგია დარბაზებისთვის. თავად მისი პირადი რეკორდი კი დახურულ სივრცეში 2.05 მეტრია, რომელიც მას ორი წლის წინ ამავე ბანსკა ბისტრიცაში დაუმყარებია.

საზოგადოდ, ეს ძალიან სტუმართმოყვარე და თბილი დარბაზია. აგერ, შვედ შტეფან ჰოლმსსაც უყვარს და მის ამ სიყვარულს უფრო ღრმა ტრადიცია აქვს, ვიდრე ხორვატი გოგონასას. ჰოლმსი მეოთხედ ჩავიდა სლოვაკეთის ამ პატარა ქალაქში და მეოთხედვე აჯობა იქ შეყრილ ჯაც მხტომელთა კოჰორტას. ახლა მან 2,34 მეტრზე შეძლო გადახტომა და ამ შედეგით იმარჯვა, შემდეგ კი ადგილობრივი პუბლიკის მიმართ მადლობად დაიღვარა — ეს ადგილი ჩემთვის განსაკუთრებულია, აქ ხალხი კი არა, ქუჩები და ხეებიც კი მიყვარსო.

კოტე ყორშია

ვანჯირუ საათში ჩაეტია

ევროპაში ჯერ გვარიანად ცივა და მძლეოსნები დარბაზებში შეყუჟულან, მაგრამ მარათონელებს სუსხი ვერას აკლებს. პირიქით, მათ სიცივე ურჩევნიათ, გრძელ გზაზე ათეულობით კილომეტრებთან შებმულები ისე ხურდებიან, რომ სიცივე მათთვის სარბოლო მანქანაზე წყლის გამაგრილებელი სისტემის ზემოქმედებასავითაა.

ბარსელონას მიმდებარე გზებზე სოლიდური ნახევარმარათონი (21კმ) გაიმართა. თავიც იქ მოეყარა კენიელ სტაიერთა მთელ არმიას. იქ იყო ამ დისციპლინის მსოფლიო რეკორდსმენი სამუელ ვანჯირუ და კაცთა განაკვეთიც მან მოიგო სტარტიდან 56 წუთსა და 26 წამში.

ვანჯირუმ თავიდანმე აიყოლია თანამემამულე კოსმერს კემბოი და მოსწყდა ჰელოტონს. ამ დუეტის ნამეტანი წინ გაშვება არ ისურვეს ორმა სხვა კენიელმა და ერთმა ესპანელმა, მაგრამ ვანჯირუმ რომ დაინახა, ეს ხალხი ყოჩაღად მოვვდევსო, მიატოვა კემბოი და მე-9 კილომეტრიდან ეულად გაიჭრა წინ. გზის ნახევარს მან ნახევარ საათზე მეტი დაახარჯა, რაკი, თუმც დიდად არ ემჩნეოდა, აღმართიანი იყო. მეორე ნახევარი კი გაცილებით სწრაფად გაირბინა და საათში თავისუფლად ჩაეტია, განსხვავებით ყველა დანარჩენისგან. ისე კი, პირველი ოთხი ადგილი კენიელებმა დაიკავეს და მხოლოდ მეხუთე იყო ესპანელი ჩემა მარტინესი (1:02,46).

ქალებშიც კენიელს დარჩა პირველობა — რაჰაპ ნდუნგემ 71 წუთსა და 10 წამში დაფარა დისტანცია. ოღონდ მასპინძლებს ქალებში უფრო გაუმართლათ — 1:11.12 შედეგით მეორე იყო მათებური ლეანდრა აგილარი.

კოტე ყორშია

მოკლე კაბა მირზამ ინდოეთს უარი უთხრა

ინდოეთის ნომერ პირველმა ჩოგბურთელმა და აზიის ერთ-ერთმა საუკეთესო მეჩოგნე სანია მირზამ შშობლიურ ბანგალორში დაგეგმილ ტურნირზე თამაშზე უარი განაცხადა. ამის მიზეზი ის არის, რომ ბოლო ორისაში წელია, სამშობლოში სულ სკანდალებში ეხვევა.

მირზამ თავისი გადაწყვეტილება ჟურნალისტებს ჰაიდერაბადში გააცნო:

„ყოველთვის, როცა ინდოეთში ვთამაშობ, რაღაც პრობლემები ჩნდება. ამიტომ ჩემს შტაბთან ერთად გადავწყვიტე, რომ ბანგალორში არ ვითამაშო. მეტიც, მგონია, უმჯობესი იქნება, ინდოეთში საერთოდ თუ არ ვითამაშებ“.

ჩოგბურთელს ამ პრობლემებს ძირითადად სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციები უქმნიან, რომლებიც მას ქვეყნის ტრადიციების უგულებელყოფაში ადანაშაულებენ. მაგალითად, ორი წლის წინ მუსულმანურმა ორგანიზაციებმა ის ანათემას გადასცეს მოკლე კაბით თამაშის გამო.

2007 წლის ნოემბერში მირზას დაბარალეს, ქორწინებამდე სექსის მომხრეა და ამას სახალხოდაც აცხადებსო. მაშინ ჩოგბურთელმა ბრალდება უარყო და განაცხადა, სწორად ვერ გამიგესო. დეკემბერში მირზამ საზოგადოების უკმაყოფილება იმით გამოიწვია, რომ შიშველი ფეხები შემოაწყო მაგიდაზე, რომელზეც ინდოეთის დროშა ეფინა. შემდეგ ისლამისტურმა ორგანიზაციებმა ჩოგბურთელს ბოდიში მოახდევინეს ჰაიდერაბადურ მეჩეთ მექა-მაჯიდის ტერიტორიაზე გადაღებულ რეკლამაში მონაწილეობისთვის.

მოკლედ, მირზას ეს ყველაფერი ისე ამოუვიდა ყელში, რომ ფიქრობს, ჩოგბურთისთვის სულაც თავი ხომ არ დამენებებინაო.

კახა ლომაუშვილი

Formula 1
რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№1 საავტომობილო ზეთი

ბაჰრეინში ყველაზე სწრაფი რაიკონენია



სპარსეთის ყურის პირას, ბაჰრეინში, მორიგი სეზონისწინა ტესტები მიმდინარეობს, რომლებშიც მხოლოდ ორი გუნდი „ფერარი“ და „ტოიოტა“ მონაწილეობს.

ტესტების პირველ ორ დღეს „ფერარის“ მსოფლიოს ჩემპიონი, ფინელი კიმი რაიკონენი და იტალიელი ლუკა ბადოერი წარმოადგენდნენ, ხოლო გუნდის მეორე საპრიზო პილოტი, ბრაზილიელი ფელიპე მასა, ტრასაზე არ გამოჩენილა. აღსანიშნავია, რომ შარშანდელ „ბაჰრეინის დიდ პრიზზე“ პოულ-პოზიცია სწორედ მასამ მოიგო, როდესაც საუკეთესო წრეზე წუთი და 32,652 წამი აჩვენა.

უკვე ტესტების პირველივე დღეს, მასას შედეგი ნახევარ წამზე მეტით გაუმჯობესა რაიკონენმა. მსოფლიოს ჩემპიონმა საუკეთესო წრეზე წუთი და 32,079 იმყოფინა. ბადოერი მეორე იყო. ფერარელებს გვარიანად ჩამორჩნენ „ტოიოტას“ პილოტები — სამეფო რბოლების გერმანელი დებიუტანტი ტიმო გლოკი და იტალიელი იარნო ტრული.

მეორე დღეს რაიკონენი საერთოდ შეუდარებელი იყო. „ყინულის ფინელმა“ წინა დღის შედეგს წამნახევარი ჩამოაკლო და საუკეთესო წრეზე წუთი და 30,595 წამი აჩვენა. ბადოერი 1.32,230 წამით მეორე იყო. გლოკის საუკეთესო შედეგი 1.32,883 გახლდათ, ხოლო ტრულის — 1.33,371.

„ფერარი“ ბაჰრეინში კიდევ ოთხი დღე დაჰყოფს, თანაც ტრასაზე მასაც გავა და დიდი შანსია, რომელიმე ფერარელმა ტრასის რეკორდიც გაუმჯობესოს, რომელიც წუთსა და 29,848 წამს უდრის და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ფერნანდო ალონსომ 2005 წელს დაამყარა, როდესაც ბოლიდების ძრავების მოცულობაც მეტი იყო და ახლანდელისგან განსხვავებით, მანქანები მართვის ყველანაირი ელექტრონული სისტემებით იყო აღჭურვილი.

კახა ლომაძე

წითელი მილიონები

საპირველფორმულო სამზარეულოში ჩახედულმა ექსპერტებმა იანგარიშეს, დათვალეს და დაადგინეს — სამეფო რბოლების ლიდერის, იტალიური „ფერარის“ ბიუჯეტი წლეულს სარეკორდო თანხით, 100 მილიონი დოლარით გაიზრდება.

„წითლებმა“ 68,9 მილიონი დოლარი 2007 წლის ჩემპიონატში კონსტრუქტორთა თასის მოგების, ანუ გუნდური გამარჯვებისთვის მიიღეს. კიდევ 33,8 მილიონ დოლარს სკუდერიას გადაურიცხავს ფორმულა 1-ის მფლობელი ორგანიზაცია იმისთვის, რომ იტალიური საჯინიბო სამეფო რბოლებში მინიმუმ 2012 წლამდე რჩება.

არადა, „ფერარის“ ფული არც აქამდე აკლდა. „წითლები“ ჯერ კიდევ შარშან აღიარეს ფორმულა 1-ის ყველაზე მდიდარ გუნდად — 2007 წელს იტალიური საჯინიბოს შემოსავალმა 183 მილიონი დოლარი შეადგინა.

კახა ლომაძე

მაკლარენს სასჯელი შეუმსუბუქეს


ბერნი ეკლსტოუნი

ფორმულა 1-ის ხელმძღვანელმა ბერნი ეკლსტოუნმა გადაწყვიტა, ცალმხრივად შეამსუბუქოს „მაკლარენ-მერსედესზე“ შარშანდელი სკანდალის შემდეგ დადებული სანქციები.

შეგახსენებთ, რომ გახმაურებული „ჯაშუშური სკანდალის“ გამო, შარშან „მაკლარენი“ კონსტრუქტორთა თასიდან მოხსნილ იქნა და შესაბამისად, გუნდურ ჩათვლაში ბოლო ადგილი გაუფორმდა. ამის გამო, ინგლისურ-გერმანულ გუნდს წლევანდელ სეზონში პიტ-ლეინზე ბოლო ბოქსი ეკუთვნოდა და „მაკების“ ბოლიდებიც უკანასკნელი — 22-ე და 23-ე ნომრებით გამოვლენ.

ნომრებისა რა მოგახსენოთ და, ეკლსტოუნმა გადაწყვიტა, რომ „მაკლარენის“ ბოქსმა დიდი პრიზების გათამაშებისას ბოლოდან სადღაც შუაში გადაინაცვლოს.

ისე, რომ არა ის ყბადაღებული სკანდალი, შარშან „მაკლარენი“ კონსტრუქტორთა თასის მფლობელი გახდებოდა და ბოლოში და შუაში კი არა, მისი ადგილი სულ პირველ ბოქსში იქნებოდა.

კახა ლომაძე

რეგულარული ჩემპიონატი

5 თებერვალი

აილენდერსი 0:3 ანაჰაიმი
0:0 0:1 0:2
0:1 ს. ნიდერმაიერი (23), 0:2 მარჩანტი (43), 0:3 უაიტი (48)

ბოსტონი 2:4 ბუფალო
1:1 0:1 1:2
0:1 პეილი (4), 1:1 აკსელსონი (10), 1:2 ვანეკი (26), 1:3 პეილი (54), 1:4 ლიუდმენი (59), 2:4 სტიუარტი (60)

ატლანტა 2:3 ფილადელფია
0:1 2:1 0:1
0:1 ჯუბლი (2), 1:1 კოვალჩუკი (29), 1:2 რიჩარდსი (30), 2:2 ბულტონი (39), 2:3 დაუნი (56)

რეინჯერსი 2:4 ლოს ანჯელესი
1:2 1:1 0:1
0:1 ტორნტონი (11), 0:2 ბოილი (14), 1:2 დრური (18), 1:3 ფროლოვი (30), 2:3 ეივრი (38), 2:4 კოპიტარი (42)

კოლუმბუსი 3:4 ვაშინგტონი
2:0 0:2 1:1 0:1 (ოვერტაიმში)
1:0 ნეში (18), 2:0 ჩიმერა (19), 2:1 ოვეჩკინი (34), 2:2 სიომინი (39), 3:2 ნეში (45), 3:3 პოტი (54), 3:4 ოვეჩკინი (63)

მონრეალი 4:3 ოტავა
2:1 2:0 0:2
0:1 კელი (3), 1:1 კოსტიცინი (13), 2:1 პლეკანეცი (16), 3:1 შტრაიტი (29), 4:1 პლეკანეცი (30), 4:2 სპეცა (43), 4:3 ვერმეტი (48)

ტორონტო 0:8 ფლორიდა
0:1 0:3 0:4
0:1 ზედნიკი (7), 0:2 ჰორტონი (21), 0:3 იოკინენი (24), 0:4 მერფი (29), 0:5 მონტადორი (49), 0:6 ზედნიკი (54), 0:7 ზედნიკი (55), 0:8 მაკლინი (58)

მინესოტა 2:3 დეტროიტი
1:1 1:0 0:1 0:1 (ოვერტაიმში)
0:1 ფრენკენი (10), 1:1 როლსტონი (12), 2:1 დემიტრა (26), 2:2 კლარი (59), 2:3 ლებდა (62)

ნეშვილი 1:0 კაროლინა
0:0 0:0 1:0
1:0 დიუმონი (52)

სენტ ლუისი 4:5 ტამპა
1:1 1:1 2:3
0:1 რეინჯერი (7), 1:1 ბოისი (7), 1:2 სენ ლუი (27), 2:2 ტკაჩუკი (35), 2:3 უორდი (45), 2:4 რეინჯერი (48), 2:5 ტარნასკი (55), 3:5 მაიერსი (56), 4:5 ჰერონი (60)

დალასი 3:2 ვანკუვერი
1:1 1:1 0:0 0:0 (1:0 გულიტეგით)
1:0 ნესლუნდი (13), 1:1 მოროუ (17), 2:1 ლეჰტინენი (28), 2:2 ნესლუნდი (39)

კალგარი 4:3 ფინიქსი
0:1 0:2 3:0 0:0 (1:0 გულიტეგით)
0:1 მიულერი (1), 0:2 მიულერი (31), 0:3 მიულერი (39), 1:3 ფანაფი (48), 2:3 ფანაფი (54), 3:3 იგინლა (60)

ალექსანდრ ოვეჩკინი

ბომბარდირები: ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშინგტონი) 72(45+27); ვენსან ლეკავალიე (ტამპა) 70 (31+39); დანიელ ალფრედსონი (ოტავა) 68 (32+36); ჯერომ იგინლა (კალგარი) 67 (33+34); ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტროიტი) 66 (31+35); პაველ დაციუკი (დეტროიტი) 65 (18+47); ილია კოვალჩუკი (ატლანტა) 65 (39+26); მარტინ სენ ლუი (ტამპა) 65 (20+45); სიდნი კროსბი (პიტსბურგი) 63 (20+43); ევგენი მალკინი (პიტსბურგი) 63 (28+35); ჯოტორნტონი (სან ხოსე) 62 (15+47); ჯეისონ სპეცა (ოტავა) 62 (20+42); მაიკ რიბეირო (დალასი) 61 (22+39)

გოლადამრები: ოვეჩკინი 45; კოვალჩუკი 39; იგინლა 33; ალფრედსონი 32; ზეტერბერგი, ლეკავალიე 31-31; ბრედ ბოისი (სენტ ლუისი) 30; რიკ ნეში (კოლუმბუსი), მარიან გაბორიკი (მინესოტა), მალკინი 28-28; ერიკ სტაალი (კაროლინა), კორი პერი (ანაჰაიმი) 27-27; ოლი იოკინენი (ფლორიდა) 26; დენი ჰიტლი (ოტავა) 25

ასისტენტები: ტორნტონი, დაციუკი 47-47; მარკ სავარი (ბოსტონი) 46; ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი) 45; კროსბი, სენ ლუი, ჰენრიკ სედინი (ვანკუვერი) 43-43; სპეცა 42; სკოტ გომესი (რეინჯერსი) 40; რაინ გაცლაფი (ანაჰაიმი), ლეკავალიე 39-39

ნაყოფიერების კოეფიციენტი: ლიდსტრომი 46, დაციუკი 37; ჰიტლი 31; ზეტერბერგი 28; ბრაინ რაფალსკი (დეტროიტი) 24; დანიელ კლარი (დეტროიტი) 22; სპეცა 21; იგინლა, გეცლაფი 20-20

მეკარეები

გაფვეებულ გოლთა საფუალო მაჩვენებელი: კრის ოსგუდი (დეტროიტი) 1,84; დომინიკ ჰაშეკი (დეტროიტი) 2,04; პასკალ ლეკლერი (კოლუმბუსი) 2,10; რობერტო ლუონგო (ვანკუვერი) 2,16; ევგენი ნაბოკოვი (სან ხოსე) 2,17; ტაი კონკლინი (პიტსბურგი) 2,18; მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი) 2,23; დენ ელისი (ნეშვილი) 2,23

დარტყმათა მოგებერიების პროცენტი: კონკლინი 93,2; ტომ ტომასი (ბოსტონი) 92,8; ოსგუნდი 92,7; ლეკლერი 92,5; ელისი 92,5; ლუონგო 92,4; კრისტობალ იუე (მონრეალი) 92,1; მარტინ ბირონი (ფილადელფია) 91,9; ტომაშ ვოკოუნი (ფლორიდა) 91,9

მოგებული მატჩები: ნაბოკოვი 29; ბროდო 28; მიკა კიპრუსოფი (კალგარი) 27; ჰენრიკ ლუნდკვისტი (რეინჯერსი) 24; მარტი ტურკო (დალასი), მარტინ გერბერი (ოტავა), ვოკოუნი 23-23; ჯან-სებასტიან ჟიგერი (ანაჰაიმი), რაიან მილერი (ბუფალო), ოსგუდი, ლუონგო 22-22

შათაუტები: ლეკლერი 8; ლუნდკვისტი 7; ლუონგო, ნაბოკოვი 6-6; ვოკოუნი, ჟიგერი, მეტიუ გერონი (ედმონტონი), ელისი, მენი ლეგასი (სენტ ლუისი), ბროდო, ჰაშეკი, კრის მეისონი (ნეშვილი) 4-4

აღმოსავლეთი

ატლანტიკა							
ფილადელფია	52	30	17	5	169:146	65
ნიუ ჯერსი	53	30	20	3	138:128	63
პიტსბურგი	53	29	19	5	158:144	63
რეინჯერსი	56	27	23	6	139:140	60
აილენდერსი	54	24	24	6	128:156	54
ჩრდილო-აღმოსავლეთი						
ოტავა	54	32	18	4	185:159	68
მონრეალი	54	29	16	9	173:150	67
ბოსტონი	53	27	21	5	139:142	59
ბუფალო	52	24	21	7	155:148	55
ტორონტო	55	21	25	9	150:180	51
სამხრეთ-აღმოსავლეთი						
კაროლინა	56	26	26	4	165:178	56
ატლანტა	56	26	26	4	154:183	56
ვაშინგტონი	54	25	24	5	156:169	55
ფლორიდა	55	25	25	5	145:153	55
ტამპა	54	22	27	5	158:182	49

დასავლეთი

ცენტრი						
დეტროიტი	55	41	10	4	185:115	86
ნეშვილი	54	28	21	5	155:145	61
კოლუმბუსი	55	25	23	7	136:142	57
სენტ ლუისი	52	24	21	7	135:149	55
ჩიკაგო	52	23	24	5	144:152	51
ჩრდილო-დასავლეთი						
მინესოტა	53	30	19	4	149:143	64
კალგარი	54	27	19	8	156:157	62
კოლორადო	54	28	21	5	153:151	61
ვანკუვერი	54	26	21	7	142:136	59
ედმონტონი	55	24	26	5	146:165	53
წყნარი ოკეანე						
დალასი	57	32	20	5	167:145	69
სან ხოსე	52	29	16	7	139:126	65
ანაჰაიმი	57	28	22	7	139:146	63
ფინიქსი	54	28	22	4	150:149	60
ლოს ანჯელესი	55	22	30	3	155:181	47

ჰოლანდია

ერედივიზიონი
გადადებული მატჩი

სპარტა 0:1 ბრედა

ფინეთი

ლიგის თასი
I ჯგუფი. II ტური

ტურკუ 2:0 მიუპა

ამხანაგური მატჩები

მოლდოვა 1:0 ყაზახეთი
1:0 ბუგაევი (10)

კვიპროსი 1:1 უკრაინა
1:0 ალონეფტისი (19პ), 1:1 მილევსკი (71)

მაკედონია 1:1 სერბეთი
0:1 ლაზოვიჩი (42), 1:1 ნოვესკი (58)

სომხეთი 0:2 ისლანდია
0:1 გუდმუნდსონი (45), 0:2 ტორვალ-დსონი (72)

უნგრეთი 1:1 სლოვაკეთი
1:0 გერა (54), 1:1 შესტაკი (64)

თურქეთი 0:0 შვედეთი

ისრაელი 1:0 რუმინეთი
1:0 გოლანი (25)
გაძევება: პეტრე (23, რუმინეთი)

მალტა 0:1 ბელარუსი
0:1 რომაშჩენკო (89)

სლოვენია 1:2 დანია
0:1 დალ ტომასონი (31პ), 1:1 ნოვაკოვი-ჩი (38), 1:2 ნ. ბენდტნერი (63)

საბერძნეთი 2:1 ფინეთი
0:1 ლიტმანენი (66), 1:1 ხარისტეასი (67), 2:1 კაცურანისი (72)

ხორვატია 0:3 ჰოლანდია
0:1 ჰეიტინგა (9), 0:2 ჰუნტელაარი (36), 0:3 ვენეგაორო ოფ ჰესელინკი (88)

პოლონეთი 2:0 ჩეხეთი
1:0 ლობოტინსკი (6), 2:0 ლევანდოვსკი (29)

ავსტრია 0:3 გერმანია
0:1 ჰიცლშპერგერი (53), 0:2 კლოზე (63), 0:3 გომესი (80)

ირლანდია 0:1 ბრაზილია
0:1 რობინიო (67)

იტალია 3:1 პორტუგალია
1:0 ტონი (45), 2:0 პირლო (50), 2:1 კვა-რესმა (77), 3:1 კვალიარელა (79)

ჩრდ. ირლანდია 0:1 ბულგარეთი
0:1 ევანსი (38ს.კ.)

უელსი 3:0 ნორვეგია
1:0 კ. ფლეტჩერი (15), 2:0, 3:0 კუმასი (62, 89)

ინგლისი 2:1 შვეიცარია
1:0 ჯენასი (40), 1:1 დერდიოკი (58), 2:1 რაიტ-ფილიპსი (62)

ესპანეთი 1:0 საფრანგეთი
1:0 კაპდევილა (80)

სიონდერისკე 3:2 ჰორსენსი

სილკებორგი 1:1 ესბიერგი

ნორდსიელანდი 1:1 ლინი

ლიუნგბიუ 1:1 აკადემისკი

რანდერსი 2:1 ჯეტსმარკი



ერენ დედრიოკს ინგლისელთა ჩაჩუმპება არ გამოუვიდა

მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აზია. I ტური

I ჯგუფი

ავსტრალია 3:0 ყატარი
1:0 კენედი (11), 2:0 კეჰილი (17), 3:0 ბრ-ეშიანო (33)

ერაყი 1:1 ჩინეთი
1:0 ტაჰერი (50პ), 1:1 ჟი (75)
გაძევება: აკრამი (71, ერაყი)

II ჯგუფი

იაპონია 4:1 ტაილანდი
1:0 ენდო (21), 1:1 ვინოტაი (22), 2:1 ოკუბუ (54), 3:1 ნაკაზავა (66), 4:1 მაკი (90)
გაძევება: ვაჩირაბანი (63, ტაილანდი)

ომანი 0:1 ბაჰრეინი
0:1 ჰუბაილი (14)

III ჯგუფი

იორდანია 0:1 ჩრდ. კორეა
0:1 იო (44)

სამხ. კორეა 4:0 თურქმენეთი
1:0 ტაე-ჰი (43), 2:0 კი-ჰიოენი (57), 3:0 ჟი-სუნგი (70), 4:0 კი-ჰიოენი (83)

IV ჯგუფი

ლიბანი 0:1 უზბეკეთი
0:1 ახმედოვი (45)

ს. არაბეთი 2:0 სინგაპური
1:0 კაპტანი (38), 2:0 ჰავსავი (81)

V ჯგუფი

ირანი 0:0 სირია

საამირეები 2:0 ძუვეითი
1:0 შეჰი (15), 2:0 ჰალელი (53)

ახალგაზრდულები

ტუნისი 0:1 შვეიცარია

ჰოლანდია 2:1 დანია

ევროპის 2009 წლის U-21 ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

VII ჯგუფი. VI ტური

კვიპროსი 2:0 ისლანდია

IX ჯგუფი. VI ტური

ისრაელი 2:1 ჩრდ. ირლანდია

ფაბიო კაპელოს ინგლისური დებიუტი შავსამკლავურებით გაიმართა: 50 წლის წინ მიუნხენის აეროპორტში „მანჩესტერ იუნაიტედის“ რვა ფეხბურთელი დაიღუპა

ხორვატია — ჰოლანდია. მასპინძლებს პირველი გოლი ჯონ ჰეიტინგამ გაუტანა

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინსარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აბელედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხოძერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი ჰერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge